ახალი დრო

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ნოემბერი პარასკევი 2012 №260 (13 866) ფასი 80 თეთრი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ლუქსემბურგის დამარცხებით მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა

ერთი ოქტავით მაღლა!

თორემ, შოტლანდიურ გუდასტვირს ვერ ჩავახშობთ

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

საქართველო - ლუქსემბურგი

3:1

1:0 ზარანდია (15)
2:0 კერძევაძე (35)
3:0 მესხი (78)
3:1 შუზი (80+2)

2

9

გაიცანით მომავლის ჩემპიონთა ლიგა

მაქაბიმ გაინავარდა, კანტუ მადრიდში დავარდა

შერმადინის მწირი დრო და უხვი მოსავალი

ევროლიგის მორიგი ტურის შემდეგ სხვადასხვაგვარ ხასიათზე იყვნენ **გიორგი შერმადინი** და **მანუჩარ მარკოიშვილი**. პირველის „მაქაბიმ" პოლონურ „პროკომს" უმასპინძლა და 93:62 გაანადგურა, ხოლო „კანტუმ" მადრიდში „რეალთან" 66:80 დათმო.

შერმადინი მატჩში მეორე ტაიმიდან ჩაერთო და 13 წუთში 11 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 7-დან 5 საჯარიმოა), 5 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. მარკოიშვილმა 15 წუთში 5 ქულა და თითო მოხსნა-ჩაჭრა მითვალა. მას მსოფლიოს გამორჩეული მსრულელის **რუდი ფერნანდესის** მეურვეობა უწევდა.

დღეს ევროლიგაზე ფრანგულ „მაღაროს" **ვიქტორ სანკიძის** „მონტეპასკა" უმასპინძლებს.

გიორგი შერმადინი (№13)

ქართული ფეხბურთი

● U 19. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

რობორ უნდა მოვუგოთ ამ თამაშით შოკლანდიას?

01.11. თბილისი. 8 მესი
1500 მაყურებელი

საქართველო		ლუქსემბურგი
3		1

1:0 ზარანდია (15), 2:0 კერძვაძე (35), 3:0 მესხი (78), 3:1 შუზი (80+2)

საქართველო	ლუქსემბურგი
4-4-2	4-5-1
გოშაძე	რაულუზი
გელაძეიანი	ვიეზე
მარგველაშვილი	ჯენერიხი
ტატიძე	გორჩაკი
შუღლია	ფლიესი
მელანია	ულვერიდი
თევზაძე (ს. კარასი	
ხარაძეიანი	მერკში
ლეჟავა	რიაზიდო
ზარანდია	ჯვიდიჩი
კერძვაძე	ბილი
მწვრთნელი	მწვრთნელი
გ. დუდარიანი	ზ. ბაუმი

საქართველო

50. ლაშხი - მესხი
65. ხარაძეიანი - მორჩუხა
77. შუღლია - პატარაკაციშვილი
სასუდარიო: ველაშაველი, ჭურდაძე, ჩაბრაძე

ლუქსემბურგი

47. მერკში - შუზი
53. რიაზიდო - მანგანი
80. ალვარდი - მონტარბი
სასუდარიო: ამოდეო, კოლკასი, ფელენი, პაკიძი
გაფრთხილება: შუღლია (12), მერკში (29), მალანია (65), ფლიესი (73)
მსაჯი: ჯ. კაზნოვა (სან მარინო)

ჩვენმა ჩვიდმეტწლამდელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ლუქსემბურგელი თანატოლები დაამარცხეს. მეტოქე ჩვენზე სუსტი იყო, თუმცა უბრძოლველად როდი დაუტოვებია მიხელ მესხის სახელობის სტადიონი.

უკრაინასთან წაგების შემდეგ ქართველმა თინეიჯერებმა გუნებაზე-განწყობილება გამოიკეთეს, რაც უმნიშვნელო ფაქტორი ვერ იქნება შოტლანდიასთან მატჩისთვის.

ლუქსემბურგი ფეხბურთში აუტსაიდერია, მაგრამ ნურც ის დადვენიწყება, რომ რამდენიმე წლის წინ ლუქსემბურგის "ეტცელას" თბილისის "ლოკომოტივი" გამოუგდია ევროტურნირებიდან.

ლუქსემბურგს პირველი გოლი საქართველოს 11-წლამდელთა ნაკრების ყველაზე თვალსაჩინომეჭნელმა ფეხბურთელმა, **ლუკა ზარანდიამ** გაუტანა, ორი მეტოქე ჩამოიცილა და უხსაკლოდ დაარტყა.

მონანაცვლდეგე მეტწილად შორეული დარტყმებით ცდილობდა ხიფათის შექმნას. ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას **ოთარ გომბაძეს** ბურთის კუთხურზე გადადგებამ მოუნია.

ანგარიშის გაზრდა შეეძლო **ჯემალ ტაბიძეს,** რომელმაც ნაკუთხურად ბურთს აკრობატულ ნახტომში უთავაზა - ლამაზად დარტყმულს სიზუსტე დააკლდა.

ჩვენი გუნდის თამაში უხარვეზო არ იყო, შეტევის ორგანიზება და განვითარება მარტივ ამოცანას არ წარმოადგენდა. ისევ ინდივიდუალური ოსტატობით თუ მოვუძენიდით ღრიჭოებს ლუქსემბურგის დაცვას.

ილია კერძვაძე მეტოქის კარისკენ ზურგით იდგა, მიიღო ბურთი, კარგად შემოტრიალდა და ოციოდე მეტრიდან ეფექტური გოლიც გაიტანა - ბურთი "ცხრილში" აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ჩვენი ნაკრებისგან უფრო მეტს ველოდით, თუმცა მეორე ტაიმის მოგება ვერ მოვახერხეთ. შესაძლოა ქართველებმა ძალა დაზოგეს შოტლანდიასთან მატჩისთვის, ეს ხომ ერთობ კომპეტტური ტურნირია, პირველი მატჩი 30 ოქტომბერს იყო, მეორე კი გუშინ, ორი დღის შემდეგ.

ლუქსემბურგელთა დამრიგებელმა **მარკ ბაუმმა** მოედანზე ახმახი თავდასხმელი **პიტ შუზი** შეუშვა, ვისაც თავბურთულობის გარდა სხვა ბევრიც არაფერი ეგალებოდა.

ცვლილება მოახდინა **გიორგი დევდარიანმა** - **ნიკა ლაშხიას** ნაცვლად **ცოტნე მესხი** გაამწესა პლეიმეიკერად.

შუზი პირველად 55-ე წუთზე დაემუქრა ქართველებს - თავური ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

ჩვენებმაც შეუტიეს სახიფათოდ, **აკაკი შუღლია** მარცხნიდან შეიჭრა ლუქსემბურგის საჯარიმოში, მცველთან ბრძოლაში მოახერხა დარტყმა, ბურთის თავზე გადაცვლება მოუნდომა მეკარეს, თუმცა სიზუსტემ უმტყუნა.

ჩვენი გუნდის თამაშის გამწვავება ისევ ზარანდიამ მოახერხა რამდენჯერმე. მარჯვენა ფლანგზე დაასხა რეტი მოწინააღმდეგეს, მესხს დაუგორა ბურთი, რომელმაც ფინტით ჯი გაანბიურა ერთი მცველი, მაგრამ ბურთი მეკარეს ვერ აცილია და ოდენ კუთხურს გამორჩა.

ზარანდიამ კერძვაძეს დაუგდო ბურთი კარგად, რომელსაც შეეძლო, რომ პირდაპირ გამოეცხადა მსაჯისთვის, მაგრამ ასე არ მოიქცა, ორთაბრძოლის შემდეგ არ ნაიცვა და ჭვინტი დაჰკრა ბურთს - ლუქსემბურგი მეკარემ იხსნა.

ქართველებმა მაინც მოახერხეს გოლის გაგანა მეორე ტაიმშიც, მესხი გავიდა მეკარესთან პირისპირ და ოსტატურად გადაუგდო ბურთი თავზე.

ანგარიშის შენარჩუნება კი ვეღარ მოხერხდა, ტანმაღალმა შუზმა მეორე ცდაზე უზადოდ შეასრულა თავური და 3:1.

მაჯის შემდეგ

გიორგი დევდარიანი: "წინა მატჩთან შედარებით ცვლილებები მოვახდინეთ. მესხის ნაცვლად სასტარტოში ლაშხია გავამწესეთ. მესხი არ არის ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში და თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას ამიტომ ვერ ახერხებს, ის მაშინ შევუშვით მოედანზე, როცა მეტოქე შედარებით დაღლილი იყო.

ეს ის თამაში არ იყო, რომლითაც შოტლანდიას მოვუგებთ, თუმცა იმედია, თამაშში გავაუმჯობესებთ. ამ გუნდს საერთაშორისო მატჩების სათანადო გამოცდილება ჯერ არ აქვს. ამ ასაკში საერთაშორისო ტურნირებს დიდი მნიშვნელობა აქვს, გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ეს მოგება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი ფეხბურთელები უფრო თავდაჯერებულები იქნებიან შოტლანდიასთან მატჩისთვის. პრობლემა გვაქვს დაცვის ცენტრში და ამის რამდენიმე დღეში აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება, ამიტომაც განსაკუთრებულად ყურადღებით უნდა ვითამაშოთ ფლანგებზე, რომ მრავალნელებს ჩაწოდებების საშუალება არ მივცეთ".

» გვ-3 გაგრძელება

● აქტუალური ინტერვიუ

ლევან ფხაკაძე: ფეხბურთში ბიზნესს ასე თუ მოვიზიდავთ

"ლელოს" სტუმარია "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე, ქუთაისის "ტორპედოს" პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე.

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ბიზნესმენის თვალით დანახული ქართული ფეხბურთი, როგორ შეაფასებს არსებულ ვითარებას და როგორ წარმოუდგენია მისი განვითარება. ცხადია, ქუთაისის 'ტორპედოზეც" ვისაუბრეთ.

- სამი წელინადია, რაც ქუთაისის "ტორპედოს" პატრონობთ. რა ჩანაფიქრის განხორციელება მოახერხეთ და რა ვერ შეძელით?

- კლუბში გრძელვადიანი პერსპექტივით მოვედით და ცხადია, სამ წელინადში ყველა ჩანაფიქრს ვერ განვახორციელებდით. მაგრამ ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ "ტორპედო" თანამიმდევრულად ვითარდება. ვასრულებთ პირობას და ბავშვთა ფეხბურთისთვის ბევრს ვაკეთებთ. ამჟამად, უმაღლეს ლიგაში, "ვიტ ჯორჯიასთან" ერთად, ქუთაისის "ტორპედო" ყველაზე ახალგაზრდული გუნდია და რაც მთავარია, ყველა მოთამაშე ქართული ფეხბურთის აღზრდილია.

ქუთაისში უალრესად ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან და მომავალს უფრო მეტ იმედს ვუკავშირებ. მშვენიერ ურთიერთობები ჩამოვაყალიბეთ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის საფეხბურთო სკოლებთან, ჩვენი მთავარი მწვრთნელი გია გეგუშაძე ახალგაზრდა სპეციალისტების მასტერკლასებს ხელმძღვანელობს, რასაც სისტემატური ხასიათი მიეცა.

ამავე დროს, კომპენსაცია მიიღო ყველა სკოლამ, სადანაც ფეხბურთელები წამოვიყვანეთ. 15-16 წლის ბავშვებში თანხის გადახდა რისკია და, შესაძლოა, დიდი ფეხბურთი 10-დან ერთმაც ვერ ითამაშოს. მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რა ძნელი შესანახია საფეხბურთო სკოლები, საიდაც ჩვენი ფეხბურთის მომავალ თაობებს ზრდიან. მათი შემოსავალი კი მხოლოდ კომპენსაციები და ამის გამო დაეა არასოდეს გვქონია. ჩვენი მიზანი სკოლების თანადგომა და ადგილობრივი რესურსის მაქსიმალური ათვისება. სანამ ამ რესურსს არ ამოვწურავთ, მანამდე უცხოელის ჩამოყვანას არ ვაპირებთ.

- სამწუხაროდ, ევროთასებსა და ასპაკრებო მატჩებში ჩანს, რომ ადგილობრივი რესურსი ან სათანადოდ ათვისებული არ არის, ან არასაკმარისია. უცხოელთა ნატურალიზაციასა და გამოყენებას კი ეგროპული გრანდებიც არ თაკილობენ.

ლევან (მარცხნივ) და სოსო ფხაკაძეები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

> დადგა დრო, რომ ბიზნესმა ჩვენს ფეხბურთს მეტი ყურადღება მიაქციოს.

რაღაც სამ წელინადში მოვაღწიეთ. ბოდა, გუნდში მისულისას, საუკეთესოებში მოხვედრასა და ნაკრებში მოთამაშეთა გაშვებაზე ფიქრი გამორიცხული იყო. ამიტომაც მიმაჩვია, ამბიციური კლუბი რომ ჩამოყალიბეთ. მაგრამ ეს ჩვენი ჩანაფიქრის მხოლოდ მცირე ნაწილია.

სწორ განვითარებაში იმასაც ვგულისხმობ, კლუბს კერძო მესაკუთრე რომ ჰყავს. რაც უფრო მეტი ასეთი კლუბი გვეყოლება, ეროვნულ ჩემპიონატში უფრო ჯანსაღი კონკურენცია გაჩნდება. დადგა დრო, რომ ბიზნესმა ჩვენს ფეხბურთს მეტი ყურადღება მიაქციოს. საქართველოში 10-12 კომპანია მაინც არის, რომელთაც ამ ტვირთის ზიდვა შეუძლიათ. ამით განვითარდება ის ქალაქებიც, სადაც კლუბებს ბიზნესიდან გამოუწნდებათ პატრონი.

» გვ-3 გაგრძელება

	თ	ჭ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შოტლანდია	2	1	1	0	5-2	4
2. უკრაინა	2	1	1	0	3-1	4
3. საქართველო	2	1	0	1	4-4	3
4. ლუქსემბურგი	2	0	0	2	3-8	0

მეპერპეპი

შოტლანდია - უკრაინა 0:0

4 ნოემბერი:

საქართველო. შოტლანდია 15:00
Live მეორე არხზე

უკრაინა. ლუქსემბურგი 15:00

დავით თავთავთქილაძე

აქტუალური ინტერვიუ

ლევან ფხაკაძე (მარცხნივ) ქუთაისის სტადიონზე უცხოელ ბიზნესმენებთან ერთად

« დც-2 გვერდიდან

ჩვენი ნაკრების თამაშით ხშირად გულნატკენები ვართ, მაგრამ ყველაფერის თავი და თავი ძლიერი საფეხბურთო სკოლები, ეროვნული ჩემპიონატი და კლუბებია. სხვაგვარად, ძლიერ ნაკრებზე ფიქრი აბსურდია. "ტორპედოში" მიმდინარე პროცესები სწორედ ამას ემსახურება.

- კლუბების პრივატიზაცია უეფას რეკომენდაციაც არის, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში ბევრი კლუბები, ფაქტობრივად, წარმოდგენილი არ არიან. მდგომარეობის გამოსასწორებლად, აღმასკომის "განსახელმწიფოებრიობაც" ხომ არ არის აუცილებელი? ყველასთან ბოდიში, მაგრამ ზოგჯერ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ აღმასკომის წევრები არა მსჯელობისთვის, არამედ, თანხმობის მისაცემად იკრიბებიან.

- 12-თა საბჭოს წამოყვანების შემდეგ, ფედერაციასთან კლუბებს უფრო საქმიანი და მჭიდრო ურთიერთობები ჩამოვეყალიბდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არასაკმარისია.

სხვათა შორის, სპორტის ახალ მინისტრს, ლევან ყოფილ ეკლესპარაკეც ქართული ფეხბურთის მომავალზე ის ხედვა დავინახე, რაც ძალიან გვჭირდება - ბავშვთა ფეხბურთის, ეროვნული ჩემპიონატისა და კლუბების განვითარებაზე, ავრეთვე, კლუბების პრივატიზებაზე. პირადად მე, იმედიანად ვარ, რომ ყოფილი ვითარებას დადებითად შეცვლის.

- ბიზნესი ფეხბურთით არ ინტერესდება და რომელ პრივატიზაციაზეა ლაპარაკი?

- დაახლოებით ვიცით, რა თანხა ხმარდება რაიონებში კლუბებს და ამ რაოდენობის ფარგლებში ბიზნესი რომ ნახალისდეს, კლუბებს პატრონი გამოუჩნდება.

- ეს თანხები მაინც იხარჯება და შესაკრებია გადაადგილებით ჯამი როგორ შეიცვლება?!

- შეიცვლება, რადგან კერძო კლუბების სიმრავლე ეროვნული ჩემპიონატის სიჭარბეს გამოიწვევს. სწორედ ეს იქნება დიდი შედეგის დასაწყისი.

ეროვნულ ჩემპიონატს დაბმარება სჭირდება. ვგულისხმობ არა შეღავათს, არამედ ფეხბურთის განვითარების ნახალისებას, რომელსაც ბოუჯატში საკმაოდ დიდი გადასახადის შეტანა, ხალხის გადასაქმება და ქვეყნის იმიჯის გაზრდა შეუძლია. ოლონდ იმ პირობებში, თუ განვითარდება.

სამი წლის განმავლობაში, ქუთაისის "ტორპედოს" 28 მილიონ ლარამდე დაეხარჯეთ, რამიც კომპანიის არათუ შეღავათი, ნახალისებაც არ ჰქონია. არ ვამბობ, რომ ეს "ვისოლის" ახლა ესაჭიროება, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივებით ქართული ფეხბურთით სხვა ბიზნესმენებს დავიინტერესებთ. ნებისმიერ სფეროში ასეა - გამვითარება შეუსაძლებელია არა შეღავათებით, არამედ, ადეკვატური პირობების შექმნით.

- კონკრეტულად, რას გულისხმობთ?

- 1. საშემსავლო გადასახადებისგან გათავისუფლებით ფეხბურთით უფრო მიმზიდველი გახდება; 2.სარჩეში დახარჯული თანხის გადახდა წმინდა მოგებიდან არ უნდა ხდებოდეს – არადა, მათ ხარჯებშიც ვერ ვაბარებთ; ნახალისების სხვა ფორმის გამოყენებაც შეიძლება. მაგალითად, მიმმე მდგომარეობა გვაქვს ინფრასტრუქტურაში. ხშირად ვთამაშობთ სტადიონზე, სადაც საფარი უვარგისია. ამ მიმართულებითაც დავფიქრდეთ, რა და როგორ გაკეთდეს. სახელმწიფო ფეხბურთში ფულს მაინც აბანდებს, მაგრამ შეიძლება სხვა მიმართულებით დაიხარჯოს და ბევრი კერძო კომპანია მოვიზიდოთ.

- ეს პრობლემები ყველა კლუბს გაწუხებთ და რა გაბრკოლებთ, მოთხოვნები რომ ჩამოაყალიბოთ და ფედერაციის, სპორტის სამინისტროს, ან სხვისი შეამავლობით პარლამენტს წარუდგინოთ?

- ხომ გითხარით, მაიმედებს ყოფიანის პოზიცია, რომელმაც ძალიან კარგად იცის, ამ მიმართულებით რა არის გასაკეთებელი. ჩვენც ყველანაირად მხარში ამოვუდგებით და თუ საჭირო გახდება, გამოცდილებას აუცილებლად გავუზიარებთ. სახელმწიფოსთან ერთად, კერძო კომპანიებსა და საზოგადოების საზრუნავიც არის, ვილაპარაკობთ ჩვენი ჩემპიონატის, ეროვნული ჩემპიონატისა და კლუბების განვითარებაზე, ავრეთვე, კლუბების პრივატიზებაზე. პირადად მე, იმედიანად ვარ, რომ ყოფიანი ვითარებას დადებითად შეცვლის.

- თუმცა, უცნაურია, რომ ბოლო დროს, ქუთაისელები ჩემპიონატს ძვლებურად აღარ წყალობენ.

- კარგი იქნება, სტადიონი ყოველთვის რომ ივსებოდეს. ცხადია, გუნდისგან ბევრად მეტს ვითხოვთ და ეს უნდათ გულმშფოთკოებსაც. მაგრამ დღეს "ტორპედო" ღირსეულ ფეხბურთს აჩვენებს, პროგრესი აშკარად და მზარეა, ადრე თუ გვიან, ისეთი გუნდი გვეყოლება, ჩვენი სტადიონი მუდამ რომ შეივსება.

გუნდისა და ფეხბურთელების გასაზრდელად აუცილებელია საერთაშორისო თამაშები. "ტორპედოს" "ბრაბზონთან" თამაში სწორედ ამ კუთხით იყო მნიშვნელოვანი. თურქები შეგვპირდნენ, რომ ქუთაისში გვეწვევიან. ურთიერთობას "ორდუსთანაც" დავამყარებთ და როგორც კი თვისუფალი დრო გვექნება, ამხანაგურად ვითამაშებთ. ამას გარდა, ზაფხულში სპარნგებს დონეცკის "შახტართან" და "შეტალურგთან" ვგეგმავთ. ანუ ჩვენი მიზანია, რომ "ნაცნაქიდან" გამოვიდეთ.

- პირველ წრეში გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

- გია გეგუჭაძესა და გუნდის ყველა წევრს მადლობა უნდა გადაეუხადოთ, რადგან წარმაგებისთვის ყველაფერს აკეთებენ. ყოველდღე ვრწმუნდები, რომ შარშან გეგუჭიძესთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სწორი არჩევანი იყო. მეორე ეტაპზე უკეთესი ფეხბურთის ჩვენებას ვიმედოვნებთ. საამისოდ, გუნდი თებერვალში ესპანეთში მოემზადება და "მარბელას თასზე" თამაშობს.

მერაბ მამულაშვილი

სიტუაცია

დილას ეძს-მეპატრონე: გუნდი ქალაქის ნამართვეს

ჯემენტარი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შემოვთავაზებთ, გორის "დილას" "ფეიბუკის" ოფიციალურ გვერდზე ბიზნესმენმა **გელა ჩხეიძემ** გააკრცელა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამ კლუბის მეპატრონე გახლდათ.

ჩხეიძემ მაძინ პირველად განაცხადა, რომ "დილა" ჩამოართვეს და სადაო საკითხის ნამოწევასა და გუნდის დასაბრუნებლად ბრძოლას აპირებს.

"საფეხბურთო კლუბ "დილა გორი"-ს ახლანდელ მესპეპრებს.

მე გახლავართ გუნდის მეპატრონე და პრეზიდენტი, რომელსაც 2005 წელს "დილა" ძალისმიერი გზით ჩამომართვეს. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოვიხსნი მოლაპარაკების გამართვას" – წერდა ჩხეიძე.

ამის შემდეგ გელა ჩხეიძე ჩვენ დაგვიკავშირდა და გვითხრა: *"მსურს ჯერ მოკლედ მოგითხროთ ისტორია, როგორ ჩამომართვეს გორის "დილა". გუნდი მე და კიდევ 16-მა ბიზნესმენმა მაშინ ავიყვანეთ, როდესაც უმაღლესი ლიგიდან გავარდა. მაგრამ დადგა დრო, როდესაც "დილა" გაძლიერდა, უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და ჩვენთვის გაუგებარი მოთრაობები დაიწყო. მოკლედ, კლუბის დათმობას გვთხოვდნენ. თავიდან ეს სერიოზულად არ მიგიღე, მაგრამ მე და "დილას" დირექტორი რამდენჯერმე დაგიბარეს პრეზიდენტის აპარატში, მე კი პოლიციის ზედამხედველობა მქონდა შეფარდებული. ყველაფერი გასაგები გახდა და საბოლოოდ, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, კლუბი ღამით გუბერნატორის ორმა მოადგილემ ჩამოგვართვა, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, დირექტივებს სწორედ პრეზიდენტის აპარატიდან იღებდნენ - მე მეკუთვნოდა გორის "დილას" 75%, რომელიც ქალაქის გამგებლობის მიადგილემ გადაიყორძა.*

*ამავე დროს, დაგვათმობინეს გორის თეგეტრზე ბურჯანაძის სახელობის სტადიონიც. ამ დროს, მე უკვე დეენილი ვიყავი და პარტნიორებთან შეუთანხმებლად, გოჩა ლომიძეს სტადიონის 100% წილი წავართვეს. მე მზად ვარ, ვუპასუხო ყველა შეკითხვას და დავასაბუთო გავარები და მოველინები, ვინ და რამ გვაიძულა გუნდის დათმობა. ახლა ისეთი რაღაცა მზიქმნა, რომ უკვე ჩემი სატკივრის გამხსენა და საკითხის ცივილიზებულად

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XII ტურის მიმოხილვა

ლიდერი წინ გაიჭრა, ველოდებით ქართულ კლასიკოს

ოთხშაბათს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მეორე ნრე დანიყო და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-12 ტური უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ გუდაუმატკივართა მოლოდინი მხოლოდ ცენტრალურმა მატჩმა არ გაამართლა, სხვა ქალაქებშიც უკომპრომისო ბრძოლების მომსწრენი გავხდით. ტურის მთავარი მოვლენა კი ის არის, რომ ერთპიროვნულმა ლიდერმა "დინამომ" უახლოეს მდევართან სხვაობა გაზარდა.

ზუგდიდი-ტორპედო 2:1

ფოტო: fctorpedo.ge

ჯიოხავა: ჩემპიონი გამოცოცხლდა

უკვე თამამად შეგვიძლია ამის თქმა, რომ "ზესტაფონი" წარუმატებელი პერიოდის დასაძლევად ქმედით ნაბიჯებს დგამს - ფეროლელები ნელ-ნელა საბურნერო მდგომარეობასაც აუმჯობესებენ და თამაშის ხარისხსაც. ამის ნიშნები წინა ტურში "დინამოსთან" მატჩშიც გამოჩნდა, სადაც მარცხის მოუხედავად, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი საკმაოდ რიგიანად მოქმედებდა. მარტვილეში სამი ბურთის სხვაობით გამარჯვება კი იოლი არგაისთვისაა.

"მერანის" კარში ერთი ბურთი **თორნიკე გორგაიშვილმა** გაიტანა, რომელიც მოედანს ტრავმით გამოწვეული გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. **თორნიკე გრიგალაშვილის** მიერ მარტვილელთა კარში გატანული გოლი კი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში ქალაქ ზესტაფონის წარმომადგენელი გუნდების მიერ გატანილი საუბილეო, მე-900 ბურთია. 901 ზესტაფონური გოლიდან კი "ზესტაფონის" ანგარიშზე უკვე ნახევარზე მეტი, 454 გოლია.

"მერანს" ზეექვსეულში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს, უმალესი ლიგაში დასარჩენად ბრძოლაში კი მარტვილელთა შანსები საკმაოდ მალალია.

დინამო-შუქალურგი 3:0

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

XII ტურის სიმბოლური ნაკრები

ჩემპიონი გამორჩეული არ არის

ეს მარცხი "ერს ჯორჯიასთვის" ტრაგედია ნამდვილად არ არის - მართალია, ამ მომენტისთვის **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს ზეექვსეულში მოხვედრის არცთუ სოლიდური შანსი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ვეტერინარები აუტსაიდერთა ჯგუფს გვარიანი სხვაობით უსწრებენ.

"დილა" კი წინ დამაჯერებლად მიწევს და სპორტული თვალსაზრისით, ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ საქართველოს ჩემპიონობაზე განაცხადოს პრეტენზია.

სპაბილური ჩიხურა და სიონის ნახტომი

ქობულეთში აუტსაიდერთა პრინციპაულ დაპირისპირება "სიონის" გამარჯვებით დასრულდა. ბოლნისელებმა გამარჯვების გული მატჩის მიწურულს გაიტანეს და მე-11-დან მე-10 ადგილზე აინაცვლეს, ბოლოსწინა პოზიცია კი ბათუმის "დინამოს" "დაუთმეს". ამ შეხვედრას შეიძლად არ ჩაუვლია, რის შესახებაც "ლელოს" გუშინდელ ნომერში ნაკითხავდით.

დაგეგმილი გამარჯვება მძიმე ბრძოლაში მოიპოვა "ჩიხურამ", მის მიერ დამარცხებული "კოლხეთი" კი დღეისთვის უმიდეო აუტსაიდერად გამოიყურება. საჩხერელები საუკეთესო ექსპრესულში მყარად არიან გამაგრებულები და ძნელი ნარმოსადგენია, რომ ამ მიზანს ვერ მიაღწიონ. "კოლხეთს" კი მართალია, ივანნმინდაში ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ კვლავ უქულოდ დარჩა და პირველი გამარჯვების მოლოდინშია.

ასეთი იყო გასული ტური, ვიარსა კი ერთბაშად ორი ცენტრალური მატჩი გველის: "ტორპედო"-"დინამო" და "მტკვალურგი"-"ზესტაფონი". არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა შეხვედრებიც, რომელთა ნინაღმასაც, ნახსენები ორი შეხვედრის ანონსის მსგავსად, ხვალინდელ "ლელოში" ნაკითხავთ.

ლევან ჯანელაშვილი

დუკლეგის ჩემპიონატი

XII ტური

ვიტ ჯორჯია – დილა	6-2
მერანი – ზესტაფონი	1-1
დინამო (თბ) – მტკვალურგი	3-2
ზუგდიდი – ტორპედო	2-0
ჩიხურა – კოლხეთი (ფ)	3-2
დინამო (ბთ) – სიონი	4-2

	თ	მ	უ	ნ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	12	10	1	1	37-12	31
2. ზესტაფონი	12	7	4	1	34-18	25
3. ვიტ ჯორჯია	12	7	3	2	29-12	24
4. ზუგდიდი	12	6	4	2	21-11	22
5. მტკვალურგი	12	5	3	4	25-25	18
6. ტორპედო	12	4	4	4	15-12	16
7. დინამო (ბთ)	12	4	2	6	17-19	14
8. ჩიხურა	12	3	3	6	13-19	12
9. დილა	12	3	3	6	11-17	12
10. კოლხეთი	12	3	2	7	13-28	11
11. მერანი	12	2	2	8	5-28	8
12. სიონი	12	0	5	7	11-31	5

პირველი ლიგა

A ჯგუფი. XI ტური

სტუ – გურია	2-3
სქურა – ფიასური	0-0
გიორგიწმინდა – სასკო	1-0
ვერსადი – რაგა	1-0
სულფარი – იფრინელი	დღეს
გაგრა – დინამო-2	დღეს

	თ	მ	უ	ნ	ბ	ქ
1. გურია	11	9	1	1	31-10	28
2. სასკო	11	8	0	3	29-12	24
3. გაგრა	10	8	0	2	23-6	24
4. დინამო-2	10	6	2	2	43-15	20
5. სტუ	11	6	0	5	24-25	18
6. იფრინელი	10	4	1	5	9-13	13
7. სქურა	11	3	4	4	10-16	13
8. გიორგიწმ	11	4	1	6	15-26	13
9. ფიასური	11	3	2	6	12-20	11
10. ვერსადი	11	3	2	6	11-31	11
11. სულფარი	10	2	1	7	8-22	7
12. რაგა	11	0	2	9	10-29	2

B ჯგუფი

სპარტაკი – სამგურალი	5-0
ლიახვი – სამტრედია	
შუქურა – ზოოვეტი	
მცრცხალი – ალდელი	დღეს
კოლხეთი (ხ) – ჩხარიმელა	

	თ	მ	უ	ნ	ბ	ქ
1. სპარტაკი	10	8	1	1	27-4	25
2. ლოკომოტივი	10	6	2	2	28-9	20
3. კოლხეთი (ხ)	9	6	1	2	11-9	19
4. შუქურა	9	5	1	3	14-7	16
5. სამტრედია	9	5	1	3	11-7	16
6. სამგურალი	10	4	3	3	16-17	15
7. მცრცხალი	9	2	3	4	12-11	9
8. ზოოვეტი	9	2	3	4	11-14	9
9. ლიახვი	9	2	1	6	8-24	7
10. ჩხარიმელა	9	2	0	7	9-29	6
11. ალდელი	9	1	0	8	8-24	3
12. ბუტი*	0	0	0	0	0-0	0

*ბუტი მოხსნილია გათამაშებიდან

ესეც მერვე...

"ილიამ" **გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო, ქუთაისის "ტორპედოს" გაუთანაბრდა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. გორელებმა მცხეთაში "ვიტ ჯორჯიას" ორბურთიანი უპირატესობით სძლიეს, მაგრამ მასპინძლებისგან საკმაო წინააღმდეგობას ნაანყდნენ. სანამ "დილა" დანიარულებოდა, ანგარიშის გახსნა ვეტერინარებსაც შეეძლოთ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და დაუნერეთ საფეხბურთო კანონიც ამოქმედდა.

სტუმართა შემადგენლობაში ორმა ბრაზილიელმა ახალწევლმა, **ნათან ჟუნიორმა** და ლეონარდომ, ითამაშა, თუმცა გოლები ქართველებმა გაიტანეს – თავი **ზურაბ არზნიანმა** და ყოფილმა ვიტელმა **ირაკლი კლიმიაშვილმა** გამოიჩინეს.

ეს მარცხი "ვიტ ჯორჯიასთვის" ტრაგედია ნამდვილად არ არის – მართალია, ამ მომენტისთვის **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს ზეექვსეულში მოხვედრის არცთუ სოლიდური შანსი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ვეტერინარები აუტსაიდერთა ჯგუფს გვარიანი სხვაობით უსწრებენ.

"დილა" კი წინ დამაჯერებლად მიწევს და სპორტული თვალსაზრისით, ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ საქართველოს ჩემპიონობაზე განაცხადოს პრეტენზია.

ბანერი

იტალია. სერია A. X ტური

შენყვეტილი ბოიკოტი და დანყვეტილი ნავორლი

პოლ პოგბამ "იუვენტუსს" სამი ქულა მოუტანა

ჯენოა–ფიორენტინა 0:1

ჯენოა (3-4-2-1): ფრეი – მორეტი, პოგო, გრანკვისტი – სამპირიზი, ლუკა, ანტინელი, მერკელი (53. ტოზისერი) – ალენიუსი (46. ხორკერა), ბერტოლაჩი (82. საიდი) - იმობილე.

ფიორენტინა (3-5-2): ვივიანო – სავინი, გონსალო, რონკალია – კუადრადო, ფერნანდესი (59. აკინკანი), მორხა ვალერო (78. მილიაო), პისარო, პასკუალი – იოვეტიჩი (67. ელ შამდუნი), ლიაიჩი.

გოლი: 0:1 პასკუალი (14).

გაფრთხილება: მორეტი, სამპირიზი, ლუკა, ბერტოლაჩი, იმობილე – კუადრადო, პისარო, პასკუალი.

კუთხური: 4-6; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 5-8; **კარის დარტყმა:** 7-8(3-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 24 000

ატალანტა–ნაპოლი 1:0

გოლი: 1:0 კარმონა (19).

კალიარი–სიენა 4:2

გოლები: 1:0 ნენე (6), 2:0 ნენე (26), 3:0 სუ (28), 3:1 ბოგდანი (42), 4:1 რიბეირო (89), 4:2 კალაიო (90).

გაძევება: ნენე (75. სიენა).

კიევი–პესკარა 2:0

გოლები: 1:0 ლულიანო (75-პენ.), 2:0 სტოიანი (76).

გაძევება: რომანიოლი (32. პესკარა).

ინტერი–სამპდორია 3:2

გოლები: 0:1 მონარი (20), 1:1 მილიტო (52-პენ.), 2:1 პალასიო (68), 3:1 გუარინი (82), 3:2 ეფერი (90).

გაძევება: კოსტა (52. სამპდორია).

იუვენტუსი–ბოლონია 2:1

გოლები: 1:0 კვაკარელა (54), 1:1 ტაიდერი (71), 2:1 პოგბა (90).

ლაციო–ფეროვიო 1:1

გოლები: 0:1 გლეკი (10), 1:1 მაური (57).

პარმა–რომა 3:2

გოლები: 0:1 ლამელა (8), 1:1 ბელფოდილი (35), 2:1 პაროლო (37), 3:1 ძაკარდო (65), 3:2 ტაბი (71).

უდინეზე–კატანია 2:2

გოლები: 1:0 დი ნატალე (29-პენ.), 1:1 კასტრო (62), 1:2 ლეტი (86), 2:2 დი ნატალე (90).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	10	9	1	0	22-5	28
2. ნაპოლი	10	8	0	2	19-9	24
3. ნაპოლი	10	7	1	2	15-6	22
4. ლაციო	10	6	1	3	16-11	19
5. ფიორენტინა	10	5	3	2	12-7	18
6. პარმა	10	4	3	3	14-14	15
7. რომა	10	4	2	4	22-19	14
8. კალიარი	10	4	2	4	10-13	14
9. უდინეზე	10	3	4	3	13-15	13
10. ატალანტა	10	4	2	4	8-12	12
11. ატალიტა	10	3	3	4	11-16	12
12. მილანი	10	3	2	5	12-12	11
13. ჩიტადინო	10	2	5	3	11-9	10
14. სამპდორია	10	3	2	5	12-14	10
15. კიევი	10	3	1	6	9-16	10
16. ჯენოა	10	2	3	5	10-14	9
17. პალერმო	10	1	5	4	8-13	8
18. პესკარა	10	2	2	6	6-17	8
19. ბოლონია	10	2	1	7	11-16	7
20. სიენა	10	2	3	5	11-14	3

შენიშვნა: სიენა - 6-ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ჩიტადინო – 1.

გოგბარიერები: 7 – ელ შაარავი (მილანი); 6 – კვაკარი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე), ლამელა (რომა).

"იუვენტუსი" უშუალო კონკურენტებს იმ დისტანციაზე გაექცა, რომლის ერთი შეხვედრით აღმოფხვრა შეუძლებელია. დიახ, "ნაპოლიმ" ბერგამოში ნაადგომ, "ვეკია სენიორამ" კი "ბოლონია" დაამარცხა და პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა. მეორე ადგილზე უკვე "ინტერია", რომელსაც თავის მხრივ, "სამპდორია" იმსხვერპლა მშობლიურ "ჯუზეპე მეაცაზე". მოკლედ, პირველ სამეულში ცვლილებებია და მეათე ტურის მთავარი ინტრიგაც ამაში მდგომარეობს. ქვემოთ, სწორედ ლიდერთა ტრიოზე გვექნება საუბარი.

იუვენტუსი

ტურნირის "იუვენტუსი" ისეთივე ნერვებისმომშლელია კონკურენტებისთვის, როგორიც ძველ, კარგ დროს იყო. გახსოვთ ალბათ, **მარჩელო ლიპის,** ან ნებაყოფლობით **ფაბიო კაპელოს** "ბიანკონერი", რომელიც იმ შეხვედრებსაც იგებდა, რომლის მოგებაც თითქოს არ ეკუთვნოდა. იმის თქმა არ გვსურს, რომ "იუვეს" "ბოლონიასთან" არ უნდა მოეგო, მაგრამ ქულების დაკარგვასთან რომ ძალიან ახლოს იყო, ეს ფაქტია.

მატჩის 92-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ტურინელები ბოლონიელთა საჯარიმოს ქალსურად უტევდნენ - ამ დროს, ბურით **სებასტიან ჯოვინომ** მიიღო, ჩაანდდა და **პოლ პოგბამაც** გამარჯვების გოლი გაატანინა. 19 ნლის ფრანგი შუახაზელი შესანიშნავად გაიარსება, სწორი პოზიცია შეარჩია და ბურის მიმართულება ბრძოლაში შეუტვალა. პოლ პოგბა მატჩის გმირი გახდა, იქამდე ტურინელთაგან **კვალიარელი** გამოირჩა, ბოლონიელთაგან კი **ტაიდერი.** მოკლედ, "იუვემ" კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათი, ნამატჩევს კი ტურინელებმა მედიასთან ბოიკოტი განაცხადეს და კომენტარებიც არიგეს...

პოლ პოგბა (იუვენტუსი): "შესანშნავი სალამო იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. გამარჯვების გოლის გატანა სოცარი შეგრძნებაა და თავს უბედნიერესად ვგრძნობ. თუმცა, კარგად მესმის, რომ ზეიმის დრო არაა და უკვე მომდევნო შეხვედრაზე უნდა ვიფიქრით. იმასაც კარგად ვხედავ, რომ საკუთარ თავზე მუშაობა მმართებს, რათა ბევრ კომპონენტში მოვუმატო. ამის შესახებ მწვრთნელებთან ყოველდღე მეუბნებიან და ვცდილობ, რომ მათ ყველა რჩევა გავითვალისწინო. მომდევნო ტურში "ინტერს" ვხვდებით და ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. იმედი მაქვს, სასტარტო შემადგენლობაში ვიქნები, თუმცა ეს არა ჩემი, არამედ, მწვრთნელების გადასაწყვეტია".

ფაბიო კვალიარელა (იუვენტუსი): "კიდევ ერთხელ გამოვავლინეთ ხასიათი და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიბარეთ აქედან. მინდა მეტოქეს შევაქო, რომელიც ორგანიზებულად იცავდა თავს და მზვავე კონტრშეტევებით გვასუსხობდა. თუმცა, უფრო ძლიერს გაუმარჯოს და ესეც სავსებით ლოგიკური. ვიწყებთ "ინტერით" მატჩზე გადავდგრთით, რადგან იმ შეხვედრაში გამარჯვებით, სატურნირო მდგომარეობას მკვეთრად გავუმჯობესებთ. ვეცდებით, უმთავრეს კონკურენტს მეხდ ქულით გავუსწრით".

ინტერი

"ინტერმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, რაც იმის მანიშნებელია, რომ გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და ტურიდან ტურამდე პროგრესირებს. მეორე მხრივ, "ნერაძურის" თამაშში კელავაც ბევრია წუნი და "სამპსთან" შეხვედრაში ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. მილანელებმა მეტოქე 3:2 დაამარცხეს და ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავისუფლად შეეძლოთ ქულების დაკარგვა. ანგარიში სწორედ გენუელებმა გახსნეს და კარგა ხანი, მეტოქის იერიშებს განსაკუთრებული პრობლემების გარეშე უმკლავდებოდნენ. მატჩის ბედი კი დიდწილად ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა, როდესაც **ანდრეა კოსტამ** თერთმეტმეტრიანი „აიკიდა" და წითელი ბარათი მიიღო... პენალტი ნამდვილად დასანიშნი იყო, აი, გაძევებისგან კი არბიტრს შეეძლო თავის შეკავება. შედეგად, გენუელებმა მეტისმეტად დიდი სასჯელი მიიღეს - 1:1 და მეტოქის რიცხობრივი უპირატესობა.

მილანელებმა გააძლიერეს დაწოლა და მეტოქეს კიდევ ორი ბურთი გაუტანეს, ჯერ **როდრიგო პალასიო** გამოირჩა, შემდეგ კი **ფრედი გუარინი.** აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში, საგოლე პასი **ანტონიო კასანომ** მიითვალა აქტიუში, რომელმაც ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა. **ობრაჰიმოვიჩი** იბრაჰიმოვიჩად და ან კასანოს რას ერჩოდნენ "მილანელები", მართლაც რთული ასახსნელია. ბოლო წუთებზე გენუელებმა გაიბრძოლეს, ერთი ბურთი გაქვითეს და ამით, დასრულდა კიდევ ერთი ყველაფერი.

ანდრეა სტრამაჩონი (ინტერის მთავარი მწვრთნელი): "პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით და დავიკარგეთ კიდეც. საბედნიეროდ, მეორეში ბევრად უკეთ ავთამაშდით და შეხვედრის მეხედე საჩვენოდ შეიმუატრალეთ. ამაში გულშემატკივრებმა შეიტანეს დიდი წვლილი, რომლებიც 90 წუთის განმავლობაში მხურვალედ გვერშაგობდნენ. დღეს, სამი თავდასხმელით ვითამაშეთ, რამაც გაამართლა. ვერ დავიჭერთ, რომ ტურნირ კასანო-პალასიო-მილიტოს ტრიოს ზოლკად ამგვარად გამოვყენებ, მაგრამ საკუთარ ნიძევარზე რომ არ გამოვიკეტებით, ეს ფაქტია. კმაყოფილი ვარ შეგირდთა თამაშით, მთავარია, ასევე გავგაიმარჯვეთ".

მასიმო მორატი (ინტერის პრეზიდენტი): "კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ ანდრეა სტრამაჩონის მუშაობით უალრესად კმაყოფილი ვარ. კიდევ ერთხელ გამოვცერით უალრესად რთული ვითარებიდან და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. არ მგეშდეთდა თამაში, ასეთ დროს კი ძნელია გამოსაელის პოვნა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და სატურნირო ცხრილში დავინაურდით. ვერ ვიტყვი, რომ "იუვეს" თამაშებს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას - ჩემი მხრიდან, ამის თქმა ტყუილი იქნებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი მანც ჩვენივე თამაშია. თუ თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დავიბრძვით, "ვეკია სენიორას" აუცილებლად გავუწევთ კონკურენციას".

ნაპოლი

"ნაპოლიმ" ბოლო ოთხ შეხვედრაში სამი ნააგო, ეს კი მინიმუმ მცირე ჩავარდნის მაჩვენებელია. ნეაპოლურ მეცნიერებაში რაღაც მოიშალა და ეს მარტო **ედინსონ კავანის** არყოფნის გამო არ უნდა ხდებოდეს. ყოფილა, როდესაც ურუგვაელს ტრავმა ჰქონდა, მაგრამ "ნაპოლი" თამაშს თამაშზე იგებდა. "ატალანტამ" ბევრი არაფერი დაუთმო მეტოქეს, თავისი შანსი გამოიყენა და სამი ქულაც დიატოვა. მართალია, ტერიტორიულ და შესაძლოა სათამაშო უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ როდესაც შეტევების ლოგიკურ დასასრულამდე მიეცანა გიჭირს, შედეგის მიღწევა ნარმოუდგენელია. თითქოს **გორან პანდევიც** ამოვარდა ფორმიდან და ვეღარც **ლორენცო ინსინე** აბედავებს მცვლელებს ძველებური სიმსუბუქით. შედეგად, "ნაპოლი" "იუვეს" მთელი ეკვსი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილიც "ინტერს" დაუთმო.

ვალტერ მაცარი (ნაპოლის მთავარი მწვრთნელი): "ეს თამაში დანყვეტილი იყო, სხვა ასხნას უბრალოდ ვერ ვპოულობ. მთელი შეხვედრის განმავლობაში ვუტევდით, მაგრამ ბურთი არაფრით შეეარდა მეტოქის კარში. რას ვიზამთ, ფეხბურთში ასეც ხდება და ბედს უნდა შევურიგდეთ. შევირდების ასპარეზობით კმაყოფილი ვარ, რადგან ყველა კომპონენტში ავლობეს მეტოქეს და მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვეჩვენეს. თუმცა, მთავარი ტაბლოა, რომელიც კარგს არაფერს გვეუბნება. საჭიროა, ნინ გავიხედოთ - მომდევნო ტურში ჩვენი კონკურენტების ვახია და ამით აუცილებად უნდა ვისარგებლოთ".

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკოლაშვილმა

მომდევნო ტური:

ვნონმბერი: მილანი–კიევი, იუვენტუსი–ინტერი.

4 ნოემბერი: პესკარა–პარმა, სამპდორია–ატალანტა, სიენა–ჯენოა, ნაპოლი–ტორინო, ბოლონია–უდინეზე, კატანია–ლაციო, ფიორენტინა–კალიარი, რომა–პალერმო.

ვალტერ მაცარის ტრადიციული გამომეტყველება ბოლო მეხვედრებში

გერმანიის თასი. II ეტაპი

იუპს რაც უნდა, ის ქნას...

გაიარონ...

გაბაიერნი მეორე შემადგენლობითაც იოლად იგებს, გლადბახი გავარდა, ვოლფსბურგი გავიდა, ლევერკუზენიც იტვალა...

შორტუნა-პორტუნა (3) 0:0 (1:0 დ.ე)

ფორტუნა (4-2-3-1): გაიერი - ლევენსი, ლანგერეკი, ბუნასენი, ი. ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ო. ფონკი - ყრული (102. ილსოი), ლამბერტი (91. გარბუშევსკი), ბელნგჰაუზენი - შაპინი (82. რაფაელი).

პორუსია (3/) (4-4-2): ტერ შტეგენი - შჩჩესკი, პრუშკოვსკი, ალეარო დომინგესი, დემში - რუბი, ნორდტვეიტი, მარქსი (72. ჯაკუბ)ჯარაგი - ჰურანი (86. ზლატა), ფუ კამარო (72. შანგე).

84-ე წუთზე თანგვიკუმ (ფორტუნა) ვერ გაიგანა პენალტი (შკარე)

გოლი: 1:0 რაფაელი (96)

მაყურებელი: 54 000

მოონხენგლადბახის „პორუსია“ ამ სეზონში თავის თავს რომ ალარ ჰგავს, ეს ბუნდესლიგის საბურნირო ცხრილიდანაც ჩანს, სადაც ნინა სეზონის მეოთხედგილოსანი მე-9 პოზიციაზეა. შესაბამისად, ლეგიკური ჩანს ისიც, რომ „გლადბახმა“ გერმანიის თასზე ასპარეზობა მეორე ტურამდე, ნაადრეადვე დაასრულა. თუმცა **ლუსიენ ფავრის** ბიჭებს „ფორტუნას“ სახით არა კომფორტული მეტოქე ჰყავდათ და შედეგზე დიდი გვილენა იქონია იმანაც, რომ მატჩი დიუსელდორფში, „ფორტუნას“ სტადიონზე გაიმართა.

დიუსელდორფელებმა თამაში **ნანდო რაფაელის** გოლით მოიგეს, რომელმაც ყოფილი გუნდის კარის დალაშქვრა დამატებით დროში, 96-ე წუთზე მოახერხა. აღსანიშნავია, რომ რაფაელი მოედანზე 82-ე წუთიდან გამოჩნდა. მანამდე, განსაკუთრებით პირველ ტაიმში „ფორტუნა“ არაერთხელ გადაარჩა, რაც მეკარე **გიფერის** დამსახურებაა, რომელმაც სხვადასხვა დროს **ნორდტვეიტს, დომინგესს, დე კამპოს, მარქსს** და **ჰურანს** აიღო. მეორე ტაიმში გიფერმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ თვითონვე გამოასწორა - ჰურანს მისთვის თურთის თავზე გადაგდების საშუალება მაინც არ მისცა. ძირითადი დროის მიწურულს მსაჯმა **კნუტ კირხერმა** მიონხენგლადბახელთა კარში პენალტი დანიშნა, მაგრამ **ლანგერეკმა ტერ შტეგენმა** აიღო.

ბაიერნი-კაისერსლაუტერნი 4:0

ბაიერნი (4-2-3-1): შტარკე - რაფინია (79. ვაიზერი), ხავი მარტინესი, ბოატენგი, კონტენტო - ტიმოშჩუკი, ჩანი - რობენი, ალაბა, შაჩირი - პისარო.

გოლები: 1:0 პისარო (11), 2:0 რობენი (49), 3:0 პისარო (58), 4:0 რობენი (88)

„ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **იუპ პაინკესი** ჩემპიონთა ლიგასა და ბუნდესლიგაში მცირე როტაციის მიმართვას ხოლმე, გერმანიის თასზე კი ბევრი ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, რომლებიც შეცვლაზეც იქნებიან და, ან საერთოდ არ გამოდიან ხოლმე. მაგალითად, რეკორდმაისტერის კარს „კაისერსლაუტერნთან“ **ტომ შტარკე** იცავდა. ძირითად შემადგენლობაში იყვნენ **რაფინია, დიეგო კონტენტო, ანატოლი ტიმოშჩუკი, ემრე ჩანი** და **კლაუდიო პისარო.** აღსანიშნავია ისიც, რომ „დონ იუპმა“ მხოლოდ ერთი ცვლილება გააკეთა და თამაშში ახალგაზრდა **ვაიზერი** ჩართო, მოუხედავად ამისა, „ბაიერნის“ მეორეხუთწლედელი „ცისფერსლაუტერნის“ დამარცხება ოდნავადაც არ გაუჭირდა - ბავარიელებმა „ეშმაკები“ 4:0 გაანადგურეს. თუმცა გლები მაინც გამოცდილმა ფეხბურთელებმა გაიტანეს - **არიენ რობენმა** და პისარომ დუბლები შეასრულეს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბაიერნის“ კაპიტანი რობენი გახლდათ, ალაბა გამთამაშებლის პოზიციაზე (!) თამაშობდა, **ხავი მარტინესი** - დაცვის ცენტრში. ერთი სიტყვით, ჰაინკესმა თავის ექსპერიმენტირების უფლება მისცა და კარგი შედეგი მაინც უპრობლემოდ მიიღო.

ვოლფსბურგი-ფრაინკფურტი 2:0

ვოლფსბურგი (4-2-3-1): ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, კიაერი, მ. მეფერი - პოლაკი, ფოსუე (88. ქნოზი) - პასებე, დიეგო, ოლიჩი (77. ვიეირინია) - დოსტი (72. ლაკიჩი).

გოლები: 1:0 დიეგო (51), 2:0 დოსტი (61)

„ვოლფსბურგმა“ ერიზისიდან გამოსელისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა - **ფელიქს მაგათის** გათავისუფლების შემდეგ „მგლებმა“ მეორე მატჩიც დამაჯერებლად მოიგეს და გერმანიის თასის მერვედფინალში გავიდნენ. როგორც ჩანს, ამ გუნდის მთავარი და ერთადერთი სერიოზული პრობლემა მარლოლაც მაგათი გახლდათ, რადგან **ლორენც-გიუნტერ კოისტნერის** ხელში, რომელიც გუნდის დროებითი თავკაცია, ვოლფსბურგელები ძალიან კარგად ათამაშდნენ.

მეორეხუთწლედელ „ფრანკფურტზითან“ პაექრობაში გოლები **დიეგომ** და **ბას დოსტმა** გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ 60 წლის კოისტნერმა ძირითადი მემადგენლობა არ შეცვალა და ზუსტად ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებმაც შაბათს „ფორტუნა“ 4:1 დაამარცხეს. შედარებისთვის: მაგათს „ვოლფსბურგში“ ზედიზედ ორ თამაშში ერთი და იგივე ერითადეი შემადგენლობა არასდროს გაუმწესებია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელები კოისტნერის დიდხანს დატოვებაზე სერიოზულად დაფიქრდნენ...

ჰანოვერი-ლიბაფი 1:1 (5:4 პ. ს.)

გოლები: 1:0 დიუფი (15), 1:1 ბრეგერიე (27)

„ჰანოვერისა“ და დრეზდენის „დინამოს“ მატჩში აგრესიული ფანების აქტიურობა მოსალოდნელი იყო და ამაზე მატჩამდეც ბევრი საუბრობდეთ გერმანია ლაპარაკობდა, მაგრამ უსაფრთხოების ჯერთანი ზომების მიღება მაინც ვერ მოხერხდა: ამ მატჩის ფარგლებში ჰანოვერის პოლიციამ 15 უღრტანი დააკავა! 1 400-მდე ფანმა მოეგლინე შეღწევა და თამაშის ჩაშლა სცადა. პოლიციის ოფიციალური განცხადებით, სტადიონის დაცვის არაერთი თანამშრომელი დაშავდა. საბოლოოდ, მოედანზე 300-მდე აგრესიული გულშემატკივარმა შეაღწია, მატჩის ხან და უშუალოდ შეხედრის დროს კი დრეზდენელები და ჰანოვერელმა ფანებმა აკრძალული პეტარდები ანთხეს.

რაც შეეხება მატჩს: ელიტელმა „ჰანოვერმა“ მეორეხუთწლედელი „დინამოს“ დამარცხება მხოლოდ პენალტების სერიაშიღა შეძლო (ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა). თერმეტმეტრიანების სერიის გადამწყვეტ მომენტში „ჰანოვერის“ მეკარე **რონ-რობერტ ციოლრმა** დრეზდენელი **მიკაელ პოტეს** პენალტი მოიგერია და **მირკო სლომკას** გუნდი თასის მერვედფინალში გაიყვანა.

ჰრმენია-ლეკერკ. 2:2 (2:3 დ. ღ)

ლევერკუზენი (4-1-2-2-1): რენზნიგი - კარეხანო, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, შვაბი (40. პოსოგა) - რანარტეკი - ლ. ბენდერი, ბენდერი - კისტერი (72. სემი), შიურლე (98. როლფსი) - კისლინი.

გოლები: 1:0 ჰილე (8), 1:1 შეგელერი (23), 1:2 მ. ფრიდრიხი (56), 2:2 შოტკი (82), 2:3 შიურლე (94)

გერმანიის თასზე მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი ჰოპფენრთან და ჩემთან შეთანხმების შემდეგ იღებს. *120* დღეა, რაც „ბაიერნში“ ვმუშაობ და პირადად მე ულიასთან პრობლემა არ შემქმნია, - უთხრა ზაჰრმა „ბილდს“.

ლიოვი: მე მივხაძე ვან გაალს?

ვან გაალის განცხადებებს გერმანიის ნაკრების თაკკაცი **იოახიმ ლიოვიც** გამოეხმაურა, ოლონდ, 52 წლის ბუნდესმწვრთნელი ამ თემას ზაჰრისგან განსხვავებით ოფიციალურ კითხვაზე, გერმანიის ნაკრების ტატტიკა ვან გაალისგან გადაიღო, თუ არა, ასე უპასუხა: *„4-2-3-1 ტაქტიკური სქემით ჩვენ 2008 წლიდან ვთამაშობთ. გამოდის, რომ უფრო ვან გაალმა გადაიღო ჩვენი ტაქტიკა, ვიდრე პირიქით, რადგან ლუისმა „ბაიერნში“ მუშაობა 2009 წლიდან დაიწყო, - აღნიშნა იოგიმ და დასძინა, - ხუმრობა იქით იყოს და ფაქტია, რომ ჩვენ ორივე შემჩევი ფეხბურთის თავყანისმცემლები ვართ. ვან გაალთან პრობლემა არ მაქვს, პირიქით, მასთან შეხვედრა ყოველთვის მსიამოვნებს. ცუდი ის არის, მას მერე, რაც „ბაიერნში“ აღარ მუშაობს, იშვიათად ვხედებით ერთმანეთს.“*

ოგის ლუისთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემს: 14 ნოემბერს პოლანდიისა და გერმანიის ნაკრები გუნდები ერთმანეთს ამსტერდამში ამხადნაგურად გაუვიბრებიან...

ემრე ჩანი და დავიდ ალაბა ლასუფიო პისაროს (მარცხნივ) გოლს უღლიან

გერმანიის თასის მეორე ეტაპზე სერიოზული სინსაცია არც ოთხშაბათს მოხდა - დაფიქსირდა მხოლოდ ლოგიკური და რამდენიმე საგულისხმო შედეგი. დიუსელდორფის „ფორტუნამ“ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დაიფრინა; „ვოლფსბურგმა“ ლორენც-გიუნტერ კოისტნერის ხელმძღვანელობით მეორე თამაშიც მოიგო; „ლევერკუზენმა“ მესამებუნდესლიგელ „არმინიასთან“ მაგრად ინვალა, მაგრამ მერვედფინალში მაინც გავიდა; „ჰანოვერში“ მკაცრ გახდა გმირი, ფანებმა კი მორიგი სკანდალი მოაწყვეს; „კაღლსრუემ“ და „ოფენბახმა“ მეორეხუთწლედელები დაჯაბნეს, მიუხედავად „ბაიერნმა“ კი „კაისერსლაუტერნი“ ამსოლუტურად უპრობლემოდ დაამარცხა.

ARENA SPORT

დავითრისპირება

ზამერის პასუხი ვან გაალს

ლუისს ლიოვიც გამოეხმაურა

მათიას ზამერი და ლუის ვან გაალი

გუშინდელ ნომერში პოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** განცხადებები გაგაცანით - 61 წლის პოლანდიელმა სპეციალისტმა მოუწონებს „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰაინესს** შეუტია, ყველას და ყველას საქმეში ცხვირს ყოფს, რაც მოუხერხარ გრანდისთვის სერიოზული პრობლემაა. გუშინ, ვან გაალს რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორმა **მათიას ზამერმა** უპასუხა.

„ყველამ კარგად იცის, რომ მოუხერხის „ბაიერნი“ არ არის „ერთი მსახიობის თეატრი“, როგორც ამაზე ვან გაალი საუბრობს. ჩვენი გუნდის ასეთ ლუმპად გამოცხადება ფაქტობრივად შეურაცხყოფაა. მის ადგილზე ეს ასეთი განცხადებების გაკეთებისას ფრთხილად ვიქნებოდი და უაზრობებს არ ნამთვაყარანგალებდი. ზაფხულის მერე „ბაიერნში“ სპორტულ დირექტორად ვმუშაობ და ვხედავ, როგორი სისტემა მოეწინეფონ კლუბში. ული ჰაინესი ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმმენიგესთან, ფინანსურ დირექტორ კარლ ჰოპფენრთან ერთად იღებს.



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

ამბები

ყუშმანოვიჩი მბუტგარტიდან წვა

სარგებლისნაკრების ნახევარმცველ **ზდრავკო კუშმანოვიჩს** „შტუტგარტში“ სათადარიგოთა სკამის „ხეზეა“ ყელში ამოუვიდა და მოუთმენლად ელის იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას, რათა შეაბენლესნდური კლუბი დატოვოს. *„უკვე ზუსტად ვიცი, რომ გაისად აქ ალარ ვითამაშებ,“* - უთხრა 25 ნლის საყოფნებმა ნახევარმცველმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ცნობილია, რომ კუშმანოვიჩით, რომელიც შტუტგარტელებმა სამი წლის წინ „ფიორენტინადან“ 8 მილიონ ევროდ შეიძინეს, ჯერჯერობით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა.

რიბერი ჰამბურგთან დაბრუნდება

გუშინ გავრცელებული ოფიციალური ცნობების თანახმად, „ბაიერნის“ ფრანგი ლიგერი **ფრანკ რიბერი** შაბათამდე გამოუვანმრთელებას მოასწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის მიმდევრო ტურში (ჰამბურგთან) მოეცანშეც შეეძლება. ფრანგმა ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა და გუშინ სრული ვარჯიში ჩაატარა.

გუშინწინ, „ბაიზრსლაუტერნთან“ სათასო შეხვედრაში რეკორდმაისტერს ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია** დაუშავდა, თუმცა ამ უკანასკნელის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ამრიგად, „შამპურგთან“ ბავარიელებს ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ დიდი ხნის ტრავმირებული **მარიო გომესი** და ახლახან დამავებული **პოლგერ ბაღმტუბერი** დააკლდებათ.

აინტრახტის ბოსი: დანიშნეთ ფეე გერმანიის ნაკრებში!

„აინტრახტის“ პრეზიდენტმა **პეტერ ფიშერის** აზრით, ფრანკფურტელთა მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** გერმანიის ნაკრებში მუშაობას იმსახურებს. *„იოახიმ ლიოვის მუშაობით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ჩემი აზრით, არმინ ფეე ბუნდესმწვრთნელის თანამდებობისთვის ღირსეული პასუხისმგებლობა,“* - უთხრა ფიშერმა „ბილდს“.

ავტორი: გვერდი მოამზადა გოტფრიდ ლენცმა

ესპანეთი. კოპა დელ რეი. 1/32 ფინალი. I მატჩები

„ალერია“ – „სელტას“ დამარცხებას ხარობს

კაპიტანი კაკა, ძმები და 17 წლის ჭალანგი

ჟოზე: ჩვენ არ ვხუმრობთ, თასი გვინდა

ალმერია – ჯანლა 2:0

სელტა: სერხიო - სამუელი (46. კაბრალი), ვილა, ხოხი, ბელვისი - მადინდა, ბუსკოსი - დე ლუკასი (63. მაღიო), ტომასი, ტონი (64. აბალო) - პარეხი.

გოლები: 1:0 ხოხოთანი (53), 2:0 აბელ მოლინერო (87)

ქასპერნიო – მალაგა 3:4

მალაგა: კამენი - ველიგტონი, ელი ზეფუ, ხუანდი (46. ალექს პორტილიო), რესიო (75. სანამნი) - იტურა, სება ფერნანდესი, დუდა, პრონაბიტე - სანტა კრუსი (77. ფაბრისიო), ონიველუ.

გოლები: 0:1 ონიველუ (4), 0:2 სანტა კრუსი (20), 1:2 ხუანიი (36), 2:2 ჩაჰი (42), 2:3 დუდა (59-პენ), 2:4 სანტა კრუსი (71), 3:4 ესტევეზ (87)

ლას პალმას – ვალენსია 1:0

რაიო ვალეკანო: დანი ნიეტესი - სოულტონი (72. ტატო), ლობაკი, გალეკსი, ნაჩო, აბე (9. კობენო) - ლ. ბანგურა, ადრიანი, ბრაშოანსი, ფ. ვასკესი - ბილე ნილსენი (65. ფელიპაშინი).

გოლი: 1:0 ტატო (21)

ხაენი – ვალენსია 0:3

ატლეტიკო: კურტუა - სილვიო, კატა დიასი, პაულიო, სისმა - გაბი (65. საული), მ. სუარესი - კოკე (59. ადრიან ლოპესი), რ. გარსია, კ. როდრიგესი (77. ოლივერ ტორესი) - დ. კოკები.

გოლები: 0:1 დ. კოკები (27-პენ), 0:2 ადრიან ლოპესი (62), 0:3 რ. გარსია (93)

სარაგოსა – გრანადა 1:0

სარაგოსა: ლეო ფრანკო - სტეპანოვ, ალეკო, პარეხი, ამრაბატ - მიღელო, რომარინი - სტუულენი (55. ვილჩესი), ვიქტორი (70. პომბინა), ფელ ორონოვი (81. ბაბობანი) - არანდა.

გრანადა: რობერტო - ნიოში, დიაბატე, მაინსი, ანგულო - ორინეი, ბრაიმი (74. ლუსენა) - ხუანმა ორტისი, ულარიანი (67. ორტელიანა), ბენიტესი - ფლორო ფლორესი.

გოლი: 1:0 არანდა (79)

ალკორკონ – რეალი 1:4

რეალი: ადანი - ალბიოლი, ვარანი, რ. კარვალიო, ნაჩო - ესიენი (59. მოდრიჩი), ალტუნი (46. ხ. როდრიგესი) - კალეხონი, კაკა, მორატა - ბენზემა.

გოლები: 0:1 ბენზემა (20), 0:2 კაკა (34), 0:3 ხ. როდრიგესი (66), 1:3 ლარა (76), 1:4 ბენზემა (88)

ვიზარი – ბილბაო 0:0

ბილბაო: რ. ფერნანდესი - ირსაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, აურკუტქჩე - სუსაეტა, ანდური, იტურასპე, ი. გომესი (46. მ. ინიიარი) - ტოკური (46. დე მარკოსი), ფ. ლორენტე (73. ალურისი).

სააპასუხო მატჩები 28 ნოემბერს

სამეფოსაზე კიდევ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. თავისი ვალი პირნათლად მოიხადა ჟოზე მოურინიოს „რეალმა“ - „ალაიანსი“ 4:1 გაანადგურა. ამ თამაშში „რეალის“ ლიდერის როლში ბრაზილიელი კაკა ევიხილეთ. საპასუხო შეხვედრას ახრი არა აქვს, გარდა იმისა, რომ ვალენსიის რეგიონის მოყრძალებული გუნდი, რომელსაც ოფიციალ. სუზონი უთამაშია ელიტაში, ბურის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გააგორავს.

სელტა: პირველი მსხვერპლი ელიტიდან?

პრიმერადივიზიონის პირველი გუნდი, რომელიც „სამეფო თასს“ შესაძლოა, დამშვიდობოს, ვიგოს „სელტაა“. თუმცა ეს ლიგისკას მოკლებული არ იქნება, რადგან გალისიელები ლა ლიგაში ახლა აღზევდნენ, „ალმერია“ კი ამასვე ახალ სეზონში აპირებს. მოკლედ, მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდები წარდგნენ „შედიტერანეოსზე“ და ანდალუსიელებმა 2:0 იმარჯვეს, ეს კი საპასუხო ბრძოლის წინ დიდი უპირატესობაა. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, **ხონათან-მა და აბელმა** დაამწუხრეს გალისიელები. პირველი გოლის შემდეგ „სელტას“ მას მერე უფრო გაუჭირდა, როცა მსაჯმა **ხონათან ვილა** გაახქეა.

მალაგას ჯარი ვარჯიში

მანუელ პელეგრინის „მალაგა“ ესტრემადურას პროვინციის ენვია და ადგილობრივ „ჯასეურნოს“ 4:3 მოუვა. სტუმრთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა პარაგვაელმა ფორვარდმა **როკე სანტა კრუსმა** დუბლით. რა თქმა უნდა, ამ დაპირისპირების გამარჯვებულის ვინაობა თითქმის გარკვეულია, მაგრამ ჯასერესელებმა საქვეყნოდ ცნობილ გუნდს, რომელიც ერთდერთია ჩემპიონთა ლიგაში, რომელსაც გოლი არ გაუშვია, ერთბაშად სამი გაუტანეს და თამაშშიც აჯენენ.

„ჯასერენო“ მანამდე იბრძოდა ვაფთრებით, სანამ გოლკიპერი **ვარგასი** არ გაუძევეს. თამაშის შეძღეგ მასპინძელთა თავკაცმა **ხულიო ჯობოსმა** სიამაყით განაცხადა, რომ მისმა ფეხბურთელებმა სული და გული მოიდეს-ზე დატოვეს. პელეგრინი კი ფიქრობს, რომ ამ ნყვილში ჯერ ყველაფერი არ გადაწყვეტილა.



კაპიტანი კაკა 17 წლის ხოსე როდრიგესს კარიერის პირველ გოლს უილოცავს

ოვაცია და მარცხი

გრან კანარიაზე „რაიო ვალეკანოს“ თაეკაც **პაკო ხემესს** დიდი ოვაცია მოუწყვეს, ყოფილი მწვრთნელის სიყვარული „ლას პალმასის“ ფანებს არ გაწელებიათ. მოუხედავად ამისა, პაკო შინ დამწუხრებული გაუშვეს - 1:0 მოუგეს. თამაშის ბედი დიდად განსაზღვრა მეკარე **დანი ნიმენესის** გაძევებამ უკვე მე-5 წუთზე! ერთადერთი გოლის ავტორი **ტიეი ბოფუმა**, რომელიც გასულ სეზონში „ესპანიოლში“ თამაშობდა. „რაიო ვალეკანოს“ საპასუხო შეხვედრა შეორსიძიების შანსი მიეცემა.

სიმეონე ყველაფერს იგებს

დიეგო სიმეონეს იმავე „ელ ჩოლოს“ გუნდმა პირველი მატჩი სტუმრად 3:0 მოიგო და ორორაუნდიანი დაპირისპირება ბედიც გადაწყვიტა. არგენტინელმა „ხაენის“ დასვენების საშუალება **რადამელ ფალკაოს** მისცა. მასპინძელთა ბელი ეი მაშინ გადანყდა, როცა პირველ ტაიმში მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა და მცველი **დანიელ ტორესი** გაეძევეს. სხვათა შორის, **ადრიან ლოპესმა** ახალ სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა, ხოლო ახალგაზრდა **ოლივერ ტორესს** პირველად მიეცა შანსი, მას მერე, რაც თავი ნინასასუზონო შეკრებაზე გამოიჩინა. ყველაზე ცუდი მაღრიდელთათვის კი **კრისტიან „სებოლა“ როდრიგესის** ტრავმა იყო.

ორი ელიტელის უღიმღამო ჯახი

ორი ელიტელის დაპირისპირებაში ყველაფერი წინაა - არანდას გოლით „სარაგოსამ“ პირველი რაუნდი ეი მოიგო, მაგრამ ნოემბერში არაგონელებს ანდალუსიაში მოუწევთ ჩასვლა და ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. „გრანადა“ **მანოლო ხიმენესის** გუნდთან მეორედ დამარცხდა ამ სეზონში. სხვათა შორის, ოთხშაბათის დაპირისპირებებიდან ყველაზე არასანახაობრივი ეს მატჩი იყო.

მოუმ შანსები არიგა

„ალკორკონსთან“ **ჟოზე მოურინიომ** ყველას მისცა თავის გამოჩენის შანსი, ვისაც ეკმძდე ეს შანსი არ ეძლეოდა. „სამეფო კლუბმაც“ **ქარიმ ბენზემას** ფუძლის ნყალობით, რასაც **კაკას** და **ხოსე როდრიგესის** გოლებიც დაერთო, მასპინძლებს 4:1 მოუგო. ამ შეხვედრაში არ უთამაშია **იკერ კასილიასს**, ამიტომაც კაპიტნის სამკლავური კაკამ გაიკეთა და დიდებულადაც ითამაშა. კარგი იყო ბენზემაც და **ნაჩო ფერნანდესი**, ხოლო ახალგაზრდა ნახეკარმკვლევმა ხოსე როდრიგესმა (არ აგვერიოს ფორვარდ **ხესეში**) ჟოზე მოურინოს კარზე დააკაკუნა („მარკას“ ვაციტირებთ), **ნნ**-ე ნუთზე გოლი გაიტანა. სხვათა შორის, **აღეკსი** და ნაჩო მშეი არიან.

ჟოზე მოურინიო: *„ჩვენ არ ვხუმრობთ, საქმეს სერიოზულად ვუდგებით, ჩვენ გვინდა ესპანეთის თასი“.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ბრაზილია. სერია A. XXXII ტური

ბრაზილიაში ყველაფერი გაირკვა?

ფლამენგო ფლუმინენსთან ვეთრად დამარცხა

აგლ. მინეირო – ფლამენგო 1:1

გოლები: 0:1 რენატო აბრეუ (28), 1:1 ლეონარდო (58).

	თ	მ	ფ	წ	გ	ქ
1. ფლუმინენსე	33	21	9	3	55-25	72
2. აგლ. მინეირო	33	18	10	5	55-29	64
3. გრემიო	33	17	9	7	47-28	60
4. სან პაულო	33	18	4	11	52-32	58
5. ინტერნასიონ.	33	13	12	8	44-32	51
6. ბოტაფოგო	33	14	8	11	51-41	50
7. ვასკო და გამა	33	14	8	11	39-37	50
8. კორინთიანსი	33	12	11	10	40-34	47
9. კრუზეირო	33	12	7	14	38-42	43
10. პრეტო ირეტა	33	11	10	12	36-42	43
11. სანტოსი	33	10	13	10	39-40	43
12. პორტიგა	33	12	6	15	46-51	42
13. ნაუთიკო	33	12	6	15	38-47	42
14. ფლამენგო	33	10	11	12	33-42	41
15. პორტუგეზა	33	9	13	11	35-35	40
16. გაია	33	8	13	12	32-37	37
17. სპორტ რესიფი	33	8	9	16	32-53	33
18. პალმეირასი	33	9	5	19	32-43	32
19. ფიგეირენსე	33	7	8	18	36-61	29
20. აგლ. გოიანი	33	5	8	20	31-60	23

ბომბარდირები: 16 – ფრედი (ფლუმინენსე); 15 – ლუიზ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბრონო მინეირო (პორტუგეზა); 12 – ალანზინო (ფიგეირენსე), კიეზა (ნაუთიკო); 11 – ბარკოსი (პალმეირასი), გაბრიელ ბარბოზა (ფლამენგო).

გუშინ, ბრაზილიის ჩემპიონატის 33-ე ტურის ბოლო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა, რომელმაც პრაქტიკულად ბრაზილიის ჩემპიონის ვინაობა გაარკვევა. „ფლამენგომ“, ამ სეზონში უკვე მეორედ, ხელი თავის მოსისხლე მტერს, „ფლუმინენსეს“ შეუწყო ხა „ატლეტიკო მინეიროს“ მორიგი, უმნიშვნელოვანესი ქულები დააკარგვინა.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ასევე გადადებული იყო, “ფლას“ გამპარჯვებით დასრულდა და იმ ნაგების გამო, “ატლეტიკომ“ ჩემპიონატში ლიდერობა დაიმო. ამჯერად, მასპინძელი უკვე **რონალდინიოს** გუნდი იყო, მაგრამ “ატლეტიკოს“ ვერც ეს ფაქტორი დაეხმარა და ვერც ის, “ფლამენგო“ 43-ე წუთიდან, **ველინგტონ სილვას** გაძევების გამო, მოედანზე 10 კაცით რომ იყო.

ანგარიში სტუმრებსა, 28-ე წუთზე გახსნეს. თავი “ფლას“ ისტორიაში ერთერთმა საუკეთესო ბომბარდიორმა, **რენატო აბრეუმ** გამოიჩინა. რენატოსთვის ეს გოლი, “ფლამენგოს“ შემდეგნაირად, 37-ე იყო სერია A-ში და ის ამ შედეგით, “ფლას“ ისტორიაში მესამე ადგილზე მყოფ ლეგენდარულ **რომარიოს** ნამოენია. მათ შინ მხოლოდ **ბებეტო** (41 გოლი სერია A-ში) და **ზიკო** (135 გოლი სერია ა-ში) არიან.

“ატლეტიკომ“ ანგარიში მეორე ტაიმში, ცვლილებაზე შემოსული **ლეონარდოს** მეშვეობით გაათანაბრა. მოუხედავად იმისა, რომ სტუმრები კატასკლუნით იყვნენ, ხოლო მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, რონალდინიომ და კომპანიამ მეტი გოლი ვეღარ გაიტანეს და ნაგების ტოლფას ფრეს დასჯერდნენ.

ამ თამაშის შემდეგ, სერია A-ს დასრულებამდე 5 ტური დარჩენილი, “ატლეტიკო“ კი “ფლუმინენსეს“ უკვე 8 ქულით ჩამორჩება. ძნელი წარმოსადგენია, აბელ ბრაგას გუნდმა ამხელა უპირატესობა გაფლანგოს.

ტატო ბაციკაძე

რონალდინიომ ყოფილი გუნდი ვერ დაამარცხა

ამბები

ბლატერი: ინგლისურ ფეხბურთს იდეობები მართავენ



ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია და მისი მმართველები ამხელა ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის შეუფერებელი ლექსიკით შეიქო. როგორც ირკვევა, 76 წლის ფუნქციონერმა რამდენიმე წლის წინ 2-ჯერ ხელმძღვანელ ჩემპიონს, ლონდონის ოლიმპიურ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ბოსს, ლორდ **სებასტიან კოეს** გაწუეიადა, თქვენი ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციას იდეობები მართავენ, სწორედ მათი ბრალია ინგლისმა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება რომ ვერ მოიპოვო. რა რეაქცია ექნება ამ ყოველივეზე **დევიდ ბერნშტაინს**, უახლოეს დღეებში შეეიტყობთ.

ბალანი: 211 ჰმ/სთ

ბერმუდინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 36 წლის **მიხაელ ბალაკი** ფეხბურთიდან ამ შაფხულს ნავიდა. ის დროს უმეტესად გერმანიასა და ინგლისში ატარებს. „სანის“ ცნობით, რამდენიმე კვირის წინ ის დასავლეთ ესსექსის სტუმროდა, სადაც ქალაქ ტრუხილიოსთან პოლიციამ გადაჭარბებული სიჩქარისთვის დააჯარიმა. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელი, ნაცვლად დაშვებული 120 კმ/სთ-ისა, 211-ით მოძრაობდა. სასამართლომ მას 10 ათასი ევროს ჯარიმის გადახდა დააკისრა. ფეხბურთელს აღვოკატის **ხესუს გალიეგო როის** თქმით, რაკი მისი კლიენტი ამჟამად უმუშევარია, სასამართლომ მას ანგარიში უნდა გაუნოოს და ათასი ევროს გადახდით უნდა დაკმაყოფილდეს. სარჩელი ჯარიმის შემცირებასთან დაკავშირებით უკვე მზადდება და ამ დღეებში შეეა შესაბამის ინსტანციაში.

ლევან გიგილაშვილი

ინგლისი. ლიგის თასი. IV ეტაპი

ლირსეული პასუხი

ჩელსი-მანჩესტერი იუნაიტედი 3:3 დ.დ. 5:4

ჩელსი: ჩეხი, კეჰილი, დევიდ ლუიზი, ბერტრანი, ასპილიკუეტა, მიკელი (46. რამირესი), რომეუ (71. ოსკარი), სტაროჯკი, პიაზონი (55. აზარი), მატა, მოზესი.

მანჩესტერ იუნაიტედი: ლინდეგორი, რაფაელი, კინი, ვიტორი, ბოტგბური (46. პაულეი), გიგზი, ანდერსონი (81. ტანკლიეი), ფლეტჩერი, ნანი, ხ. ერნანდესი, უელბეკი (99. მაკეი).

გოლები: 0:1 გიგზი (22), 1:1 დევიდ ლუიზი (31-პენ), 1:2 ხ. ერნანდესი (42), 2:2 ეშლი (53), 2:3 ნანი (58), 3:3 აზარი (90+4), 4:3 სტაროჯკი (98), 5:3 რამირესი (114), 5:4 გიგზი (118-პენ)

პრემიერლიგაში "იუნაიტედთან" დამარცხებებიდან სულ რაღაც 72 საათის შემდეგ "ჩელსიმ" პრინციპული მეტოქე კიდევ ერთხელ მიიღო "სტემფორდ ბრიჯზე" და ზედაპირულ ბრძოლაში ლიგის თასის მილმა დატოვა. 120 წუთის განმავლობაში მაყურებელმა საოცარი სანახაობა იხილა. მატჩის სადავეები ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა. მასპინძელმა ბეწვის ხიდზე გაიარა, როცა საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე მოახერხა გათანაბრება, მაგრამ მოავარია, რომ მაინც მოახერხა.

9-გოლიანი თრილერი

პირველი რეალური საგოლე მომენტი "ჩელსის" კართან შეიქმნა: **ეტერ ჩეხმა ლუიზ ნანის** საფარიდან აუღო. 22-ე წუთზე "ლურჯების" კარის დარაჯმა **ორიოლ რომეუს** ბურთი საჯარიმოსთან მშვიდ სიტუაციაში დაუგროვა. მოლოდინით **რაინან გიგზისა** და **ანდერსონის** აღსაბმელი აღმოჩნდა. ესპანელმა საყრდენმა ბურთი დაკარგა, რითაც გიგზმა ისარგებლა – 0:1. ანგარიში ისევ მოულოდნელად გათანაბრდა. რეალტიული **ვიქტორ მოზესი** საკუთარ საჯარიმოში **ალექსანდერ ბოუტგრემს** წესების დარღვევით შეაჩერა. **დავიდ ლუიზის** დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა – 1:1. მატჩი წვეული სცენარით ნარმართა. **რობერტო დი მატეოს** ფეხბურთელები ბურთს უკეთ აკონტროლებდნენ, "ეშმაკები" ბეჭს კონტრშეტევებზე ეძებდნენ. 42-ე წუთზე "ჩელსიმ" მეორე ბერთი გაუშვა. ანდერსონმა მოცდნის ცენტრიდან დიდებული პასით **ხავიერ ერნანდესი** მეკარესთან პირისპირ დატოვა. მექსიკელს ჩეხის ჯობნა არ გასჭირვებია – 1:2.

მეორე ნახევარი შეცვლაზე შესული **ნიკ პაუელის** პირეული დარტყმით დაიწყო. ეტერ ჩეხმა გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. მეტოქეებმა რამდენიმე სახიფათო წრეცლება კიდევ გაცვალეს. 53-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. **ხუან მატას** კუთხურს **გარი კეჰილი** თავით შესწვდა. **რაფაელის** ბურთი თავით კი გამოიტანა, მაგრამ მას მერე, რაც ლამის ნახევარი მეტრით გადაკვეთა ხაზი – 2:2. დიდი ხანი არ იყო გასული, როცა "ჩელსის" საჯარიმოსთან გაჭიანურებული შეტევა ანდერსონის პასითა და ნანის ტექნიკური დარტყმით დასრულდა. ლონდონელები სტუმართა მიერ ბურთის გათამაშებას პირდაპირებულები უყურებდნენ – 2:3. "ჩელსის" მალევე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ **ხესარ ასპილიკუეტას** თავერი არაზუსტი გამოდგა. მერე **ლი მეისონმა ანდერს ლინდგორის** კარში 100%-იანი პენალტი არ დანიშნა, როცა მატას დარტყმა **მაიკ კინს** ხელზე მოხვდა. სიტუაცია თითქოს "ეშმაკების" სასარგებლოდ ვითარდებოდა, მაგრამ ბოლო წამებზე სტუმრთა გამოუცდელი მცველები გატყდნენ. **სკოტ ვუტონ რამირესს** ისე შეეჯახა, რომ ბრაზილიელს ფეხზე დარჩენის შანსიც კი არ დატოვა. პენალტის შესრულება **ედენ აზარმა** ითავა, ვინც სერიოზულად გარისკა, როცა ცენტრში დარტყა, მაგრამ რაკი "კოკამ წყალი შინ მოიტანა" ამისთვის საყვედური აღარ ეკუთვნის – 3:3.

დამატებითში ლარჯებმა იძალეს

დამატებითი დროში "ჩელსის" უპირატესობა უკვე თამამეიძდენ გახდა. 98-ე წუთზე ედენ აზარმა **დენილ სტარიჯის** მისამართით 70-მეტრიანი პასი გააკეთა. ბურთი სკოტ ვუტონს მიუვიდა. 21 წლის მცველმა თავით გადაწყვეტა ბურთის მეკარისთვის დაგორება, მაგრამ ამისთვის ის მეტისმეტად ძორს იყო. "ჩელსის" თავდამსხმელმა ბურთი ჩაჭრა, მეკარე მოატყუა და ცარიელ კარებში შეაგორა – 4:3. დამატებითი დროის მეორე 15-წუთიანში კიდევ ორი გოლი გაივსო: ჯერ იყო და, აზარმა "ოუნიატედის" დაცვა მარკმა "გაიქედნა" და რამირესი მეკარეს პირისპირ შეატოვა (5:3), მერე კიდევ ასპილიკუეტასა და ერნანდესის ორთაბრძოლა "ჩელსის" კარებში ჰენალტით დასრულდა, რომელიც რაიან გიგზმა გამოიყენა – 5:4.

დავიდ ლუიზმა პენალტი გაიტანა

ლუის სუარესის თავური

ბრენდან როჯერსის გედის სიმღერა?

პირველი პაემანი განშორების შემდეგ

ლივერპული-სპორტინგი 1:3

ლივერპული: ჯონსი, ჰენდერსონი, რობინსონი, კოატესი, კარაგერი, შელვი, ალენი, ანისი (65. სტერლინგი), დაუნინგი, ჯ. კოული (46. ჯერარდი), ოქსლეი (46. სუარესი).

სპორტინგი: ტრემელეი, ტიენდალი, უილიამსი, ჩიკო (58. მონტეირო), ბრიტონი, ე. რიჩარდსი, ნ. დაიერი, დე გუზმანი, პ. ერნანდესი (75. რუტიჯენი), მორე, ს.ი. კ.

გოლები: 0:1 ჩიკო (34), 0:2 დაიერი (72), 1:2 სუარესი (78), 1:3 დე გუზმანი (90+4)

ინგლისური პრესა მატჩის დაწყებამდე ერთხმად ღაღადებდა, რომ ბრენდან როჯერსისთვის ეს იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე რთული მატჩი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. "ლივერპულის" ფეხბურთელებს ესმოდათ დამრიგებლის მდგომარეობა, ამიტომ ამბობდნენ, რომ მხოლოდ მოსაგებად იყვნენ შემპრთულნი. საბოლოოდ ეს განცხადებები განცხადებებად დარჩა.

მასპინძლებმა მატჩი მაღალ ტემპში დაიწყეს. პირველი მომენტი **სამიდ იუსლემა** შექმნა, მაგრამ თინეიჯერ გერმანელს თანამემამულე **გერჰარდ ტრემელმა** ავოლბა. მერე **ჯო კოული** გაატყორცა, მაგრამ მისი დარტყმა მცველებმა დაბლოკეს, რასაც **უსამა აისადისა** და **სტიუარტ დაუნინგის** ჩაწოდებები მოჰყვა. "სოფისი" კონტრშეტევაზე ცდილობდა თამამის ანყობას და დროდადრო გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ რეალური შედეგის გარეშე. 28-ე წუთზე **მოგეი მიჩუმ** და **პაბლო ერნანდესმა** გაითამაშეს ბურთი, მაგრამ იდეალურად ითამაშა **ჯეიმი კარაგერმა.** ვეტერანმა ბურთი ჩაჭრა. ესპანელების მოშენებს დაუნინგმა პორი გასროლით უპასუხა. ტრემელემ მშვენიერ ხანტომში ბურთი კუთხურზე გადააგდო. 34-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა: გოლი მეტისმეტად პროზაულ ვითარებაში გავიდა. **ჯონათან დე გუზმანის** კუთხურისას მეორე სართულზე **ჩიკო ფლორესმა სებასტიან კოატესს** ავოლბა – 0:1. ამას მატჩის შინაარსში არაფერი შეუცვლია. "ლივერპული" ისევ თავგზააბნეული ცდილობდა "გედების" კარების გასაღების პოვნას, უკანასკნელები კი თავის მხრივ კონტრშეტევებზე მწარედ იკბინებოდნენ.

მეორე ტაიმი მასპინძელმა აქტიურად დაიწყო. თუმცა **ჯონჯო შელვის** დარტყმამ მიზანს ვერ უწია, მერე **სუარესი** ვერ შესწვდა ფლანგურ ჩაწოდებას. 65-ე წუთზე **სტივ ჯერარდმა** შორიდან დასცხო და ძელს გაარტყა, დამატებაზე ბურთთან პირველი დაუნინგი გაჩნდა, მაგრამ მან 6-7 მეტრიდან წარმოუდგენელ სიტუაციაში ვერ გაიტანა. "სოფისიმ" საქმეს სერიოზულად მოაკითხა ბელი და "ლივერპულს" ინიციატივა დაათმობინა. "გედებმა" ერთ შეტევაში სამი რეალური მომენტი შექმნეს. **ბრედ ჯონსი** მეტოქეს სამჯერეც მარტოდმარტო გაუმკლავდა. რას აკეთებდა ამ დროს "წითლების" დაცვა, ვერაფერს გეტყვით. 72-ე წუთზე უკვე მთელი "ლივერპული" ჩავარდა. "სოფისიმ" კლასიკური კონტრშეტევის წყალობით მოახერხა მეორე გოლის გატანა. ფეხმარდმა **ნათან დაიერმა** ცარიელ კარში შეაგორა – 0:2. ექვს წუთში ჯერარდმა ლუის სუარესს საჯარიმოდან ბურთი თავზე "დაასვა" – 1:2. მატჩის ინტრიგა გაცოცხლდა. ურუგვაელ ფორვარდს ანგარიშის გათანაბრება რამდენჯერმე მართებდა, მაგრამ ხან მეკარე თამაშობდა კარგად, ხან თავად ლუისს ღალატობდა სიზუსტე. შეხვედრას ნერტილი "გედებმა" დაუსვეს. მიჩუმ და დე გუზმანმა "ლივერპულის" დაცვა კიდევ ერთხელ გააბიაურეს – 1:3.

მატჩის შედეგები

ბრენდან როჯერსი (ლივერპული): "სუოსნი" ჩვენზე აქტიური იყო. პირველ ტაიმში განსაკუთრებით ხელა ვმოძრაობდით. ჯერარდმა და სუარესმა დანარჩენ ფეხბურთელებს იმპულსი მისცეს, მაგრამ მოულოდნელად მეორე გოლი გავუშვით. რა სახიფათო მომენტებიც შეექმნით, იმათი რეალიზება იყო საჭირო. ასე რომ, დამრაშვის ძებნა მხოლოდ საკუთარ თავში გვმართებს".

მიქაელ ლაუდრუპი (სუოსნი): "ენფილდზე" "ლივერპულის" დამარცხება განსაკუთრებული გრძნობაა, რადგან უწეველ აორის მქონე არენაა. იმის მიუხედავად, რომ უცხოელი ვარ, ამას ცხადად ვგრძნობ. წარმიმდგენია, რას ნიშნავს ეს ფეხბურთელებისა და გულშემატკივრებისთვის. ვფიქრობ, ბოლო მატჩებში აპკარა პროგრესს გავეცოდით. ასევე უნდა გავაგრძელოთ".

მაჯობია ეპაპის ნილსპრა

უკვე გაიმართა ლიგის თასის 1/4-ფინალების კენჭისყრა. ერთმანეთს შეხვდებიან:

ლიდსი-ჩელსი
სუონსი-მილუოლი
ნორვიჩი-ასტონ ვილა
ბრედფორდი-არსენალი

სპეციალური

კლაბენბერგი რასისტია?

ინგლისურ პრესას თემა მიეცი და დასანერს იძებენ რამეს გამოშხრეკას, რომ ვერ ნარმოიდგენ. მასმედიას უკანასკნელ უქმეებზე ბედნიერება ეწვია. "ჩელსი"-"ოუნაიტედის" არბიტრი **მარკ კლატენბერგი ჯონ ობი მიკელის** რასისტულ შეურაცხყოფასა და ესპანელი ფეხბურთელების აუგად მოხსენიებაშია ეძებნილი. როგორც "მირორი" წერს, ორი ფეხბურთელიდან, რომელიც ჩრდილოინგლისელ არბიტრს თითს ადებს, ერთის **(რამირესმა)** ინგლისურის მარგი საკმაოდ მკირეა, მეორე **(დავიდ ლუიზი)** ენას კი ფლობს, მაგრამ დიდი ეჭვია, ჯერედების აქცენტის გაგება შეეძლოსო. კლატენბერგის რეგიონის მცხოვრებელთა ინგლისური მეტად სპეციფიკურია და მისი გაგება ინგლისურენოვანთათვისაც კი სერიოზული პრობლემაა. სწორედ ეს პრობლემა ტანჯავდა მთელი კარიერის განმავლობაში "ნოუკასლისა" და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელ **პიტერ შერდსლის.** რაც შეეხება **ხუან მატას** შეურაცხყოფას, თავად ესპანელმა განაცხადა, მსგავსი არაფერი გამიგიაო. ახლა ირკვევა, რომ უკანასკნელ ბრალდებას მოწმე საერთოდ არ ჰყავს. საფეხბურთო ასოციაციაში იმედოვნებენ, რომ ამ საანდღლს მალე დაესმება წერტილი და დამნაშავეებს (თუკი ისინი არსებობენ) მკაცრად მოუნევთ პასუხის გაცემა კანონის წინაშე.

გვკრავდ ემსგზაღა
ლევან ბიბილაშვილმა

● ახალი თაობის სერია

გაიხანით: მოპავლის ჩემპიონთა ლიგა

ისტორია

"ახალი თაობის სერია", იგივე Next Gen Series, არის 19-წლამდელთა საერთაშორისო საკლუბო ტურნირი, რომელიც პრაქტიკულად ამ ასაკის ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგაა. ასეთი ტურნირის ჩატარების იდეა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, მაგრამ პირველი ტურნირი მხოლოდ 2011 წელს გაიმართა.

პირველ გათამაშებაში ევროპის 16-მა კლუბმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში ერთმანეთს მილანის "ინტერი" და ამსტერდამის "აიაქსი" დაუპირისპირდნენ. ლონდონში გამართული ეს მატჩი 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი გამარჯვება მილანელებს დარჩათ. გადამწყვეტი პენალტი, იტალიის 19 და 21-წლამდელთა ნაკრების ნეკრმა, **ლორენცო კრისტოგმა** გაიტანა. ამ ფეხბურთელის გარდა, "ინტერის" ღირსებას **სამუელ ლონგო**, რომელიც ახლა "ესპანიოლში" არის განთხოვრებული და პრიმერაში უკვე 2 გოლის გამტანც მოასწრო და უკვე "ინტერის" ძირითადი გუნდის წევრი, **მარკო ლივაიო** იცავდნენ. მილანელთა დამრიგებელი **ანდრეა სტრამაჩიონი** იყო, რომელიც ტურნირის დასრულებიდან მეორე დღეს, "ინტერის" ძირითადი გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები, 7-7 გოლით "აიაქსის" დანიელი ლეგიონერი **ვიქტორ ფიშერი** და "ბარსელონას" კამერუნელი ფორვარდი **ჟან მარი დონგუ** გახდნენ.

მონაწილეები

2011/12 წლების "ახალი თაობის სერია" საკმაოდ წარმატებული გამოდგა, შესაბამისად ტურნირში მონაწილეობის მსურველთა რიცხვიც გაიზარდა. ნლევანდელ გათამაშებაში უკვე 24 გუნდი მონაწილეობს. მართმა მოთამაშე 15 გუნდს ("ბაზელთა" უარი განაცხადა), ნელს 9 ახალი კლუბი დაემატა.

2012/13 წლების სეზონში, ყველაზე მეტი, ექვსი წარმომადგენელი ინგლისს ჰყავს: "ასტონ ვილა", "ლივერპული", "მანჩესტერ სიტი", "ტოტენჰემი", "არსენალი" და "ჩელსი".

2-2 გუნდი ჰყავთ იტალიას, საფრანგეთს, გერმანიას, ესპანეთს, პოლანდიას და ნორვეგიას. იტალიიდან მონაწილეობას მოქმედი გამარჯვებული, მილანის "ინტერი" და ტურინის "იუვენტუსი" იღებენ. ესპანეთის ღირსებას ორი სპპარატულტული რეგიონის კლუბი, "ბარსელონა" და ბილბაოს "ატლეტიკი" იცავენ. გერმანიდან "ვოლფსბურგი" და დორტმუნდის "ბორუსია" მონაწილეობენ, ნორვეგიიდან "მოლდე" და "როსენბორგი", პოლანდიდან "აიაქსი" და "ჰსვ ენდჰოვენი", საფრანგეთიდან კი ჰსვ და მარსელის "ოლიმპიკი".

თითო-თითო გუნდი ჰყავთ პორტუგალიის (ლისაბონის "სპორტინგი"), შოტლანდიის (გლაზგოს "სელტიკი"), უოტფორდის (სტამბოლის "ფენერბაჰჩე"), ბელგიის (ბრიუსელის "ანდერლეხტი"), რუსეთის (მოსკოვის ცსკა) და სპარტნეთის (პირველის "ოლიმპიაკოსი").

თითოეულ გუნდს განაკუთვნილი 18 ფეხბურთელი ჰყავს, რომელთა ასაკიც 19 წელს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა გამონაკლისების სახით, გუნდებს გაანაკუთვნილი სამი ერთი ნლით უფროსი ფეხბურთელის ყოლის უფლება აქვთ, რომელთაგანაც მოედანზე ერთდროულად მხოლოდ ორი შეიძლება იყოს.

ანდრეა სტრამაჩიონი და ინტერის 19-წლამდელთა გუნდი

წლევანდელი სეზონი

წლევანდელ გათამაშებაში 24 გუნდი 6 ჯგუფშია გადანაწილებული და თითოეული ჯგუფიდან, მომდევნო, მერვედფინალურ ეტაპზე ორი გამარჯვებული გადის, გარდა ამისა, 1/8 ფინალის სავარაუდო ასპარეზი ჯგუფების მეორე ადგილის მფლობელი კლუბი მიიღებს.

2012/13 წლების სეზონში უკვე 4 ტური გაიმართა, თუმცა ზოგ გუნდს ნაკლები, ზოგს კი მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. ამ მომენტისთვის ბოლო შეხვედრები 30 და 31 ოქტომბერს შედგა. ამ მატჩების შედეგებთან ერთად, ჯგუფების არსებული მდგომარეობასაც შემოგთავაზებთ.

ბომბარდირთა დავაში, წელსაც ნინა სეზონის საუკეთესო სნაიპერი, ვიქტორ ფიშერი ლიდერობს.

ამომავალი ვარსკვლავები

ზოგადად, როდესაც ერთ ტურნირში ამდენი სახელოვანი და დიდი კლუბის 19-წლამდელთა გუნდები მონაწილეობენ, ამომავალი ვარსკვლავის პოვნა რთული არ უნდა იყოს, თუმცა 18-19 წელი ისეთი ასაკია, რომ ფეხბურთელი შეუკვე აღვნიშნეთ, ნინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ამ გათამაშებაშიც ლიდერობს. ფიშერი დანის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და ერთი მატჩის ჩატარება 21-წლამდელთა გუნდშიც მოასწრო.

ახალგაზრდა დანიელს "აიაქსის" ძირითად გუნდში დებიუტი უკვე ჭქონდა – თინეიჯერმა ფეხბურთელმა, 20 ოქტომბერს "პერაკლესთან" 3:3 დასრულებულ მატჩში, ბოლო 6 წუთი ითამაშა.

მასიმო ბრუნო (ანდერლეხტი) – 19 წლის ფეხბურთელი "ანდერლეხტის" ძირითადი გუნდის წევრია, მაგრამ "ახალი თაობის სერიის" მატჩებშიც მონაწილეობს. ბრუნომ "დიდების" წემპიონთა ლიგაში 3 თამაში ჩაატარა და ამდენივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა "პატარების" წემპიონთა ლიგაშიც. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ბელგიის წემპიონატში 9 თამაში და 2 გოლია.

"ანდერლეხტის" 19-წლამდელთა გუნდის წევრები ასევე არიან: **რომელუ ლუკაკუს** ძმა **ჟორდან ლუკაკუ**, რომელიც ამპლუაში მცველია და **კევინ დე ბრუინის** ძმა **ალექსანდრ დე ბრუინი**, რომელიც ნახევარდაცვაში თამაშობს.

ჟან მარი დონგუ (ბარსელონა) – ვიქტორ ფიშერთან ერთად 2011/12 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირი. კამერუნელმა ფეხბურთელმა, ამ სეზონში სეგუნდა დიეზონში, ბარსელონა B-ს რიგებში 9 მატჩი ჩაატარა და 3 გოლის გატანაც მოასწრო.

სულეიმან კოლიბალი (ტოტენჰემი) – 17 წლის ლოტდივუარელი ფეხბურთელი, რომელმაც 2011 წლის 17-წლამდელთა მუნდიალზე, 16 წლის ასაკში ნამდვილი ფურორი მოახდინა და 4 მეხვედრაში 9 გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ სპილოს ძვლის სანაპიროს ნაკრებმა, იმ რემპიონატზე სულ 10 გოლი გაიტანა, აქედან კოლიბალის ანგარიშზე მხოლოდ ბოლო, მეათე ბურთი არ იყო.

ალრინდრაბიო (ჰსვ) – 17 წლის ნახევარმცველი ჰსვ-ს ძირითად გუნდში მკვიდრდება. **კარლო ანჩელოტიმ** რაბიო, "ნაწილთან" ბოლო ტურის შეხვედრაში, მოედანზე მეორე ტაიმში გამოიყვანა და თამაშის შემდეგ ფეხბურთელი ექიპი ცაში აიყვანა. რაბიომ ლიგა 1-ში უკვე 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

დენის სუარესი (მანჩესტერ სიტი) – ვიგოს "სელტას" აღზრდილი ფეხბურთელი, რომელიც უკვე დიდი ხანია ამობმავალ ვარსკვლავად ითვლება. სუარესი ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების მუდმივი წევრია და შორს არ არის ის დღე, როდესაც "მანჩესტერ სიტის" ძირითად გუნდშიც გამოჩნდება.

ლუკას პიშჩეკი (ჩელსი) – უნიფიცრესი 18 წლის ბრაზილიელი ფორვარდი, რომელმაც "მანჩესტერ იუნაიტედთან" საძლაოა უდიდეს იმედებს იძლეოდეს, მაგრამ შემდგ ზრდა შენყვიტოს და ჩვეულებრივ მოთამაშეთა კატეგორიაში გადაინაცვლოს.

ჩვენ მაინც რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი გამოვყოთ:

ვიქტორ ფიშერი ("აიაქსი") – 18 წლის დანიელი ფეხბურთელი, როგორც ვიტყვით, ამ სეზონის საუკეთესო ბომბარდირია. ფიშერი დანის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და ერთი მატჩის ჩატარება 21-წლამდელთა გუნდშიც მოასწრო.

ვიქტორ ფიშერი

მასიმო ბრუნო



დენის სუარესი

A ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	4	2	2	0	8-1	8
2. ტოტენჰემი	4	1	2	1	6-7	5
3. ვოლფსბურგი	4	1	1	2	6-11	4
4. ანდერლეხტი	4	0	3	1	3-4	3

B ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰსვ	3	2	0	1	4-2	6
2. ოლიმპიაკოსი	3	1	2	0	6-4	5
3. მანჩესტერ სიტი	4	1	2	1	5-5	5
4. ფენერბაჰჩე	4	0	2	2	5-9	2

C ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	5	4	0	1	7-3	12
2. პსვ	3	2	0	1	10-2	6
3. ჩელსი	3	1	1	1	3-3	4
4. მილანი	5	0	1	4	2-14	1

D ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სპორტინგი	4	3	0	1	9-5	9
2. პსვ ენდჰოვენი	4	2	0	2	5-7	6
3. სტადიონი	4	1	1	2	7-7	4
4. ასტონ ვილა	4	1	1	2	5-7	4

E ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუსენბორგი	2	2	0	0	3-1	6
2. ინტერი	3	2	0	1	5-4	6
3. ბეროუსია (დ)	3	1	0	2	2-3	3
4. ლივერპული	2	0	0	2	3-5	0

F ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მარსელი	4	2	1	1	3-4	7
2. ოლიმპიაკოსი	4	1	2	1	2-4	5
3. არსენალი	4	1	1	2	3-3	4
4. ატლეტიკი	2	1	0	1	5-2	3

ჯგუფური ეტაპი 2012 წლის დეკემბერში დასრულდება, პლეი-ოფის ეტაპი კი უკვე 2013 წლიდან დაინყება.

ბომბარდირები: 4 – ვიქტორ ფიშერი (აიაქსი); 3 – ალექს ჩრატჩარი (ტოტენჰემი), ფილიპ ჰაუკი (ვოლფსბურგი).

ჟან მარი დონგუ

● საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/8 ფინალი.

ფრანგული კლასიკო პარიზელებმა მოიგეს

ნიცა–ლილი	3:1	
გოლები: 1:0 ეშერიო (6-პენ), 1:1 გამბინი (7), 2:1 მ. ტკაორე (9), 3:1 სილვი (15).		
მონპელიე–გირონდი	1:0	
გოლი: 1:0 ტრინი (61).		
ჰსპ–მარსელი	2:0	
გოლები: 1:0 ტაიგო სილვა (29-პენ), 2:0 მენუნი (50).		
ბასტია-ოსერი	გადაიდო	

საფრანგეთის ლიგის თასის დარჩენილი 4 მერვედფინალიდან, მხოლოდ სამი გაიმართა, კორსიკაზე დაგეგმილი "ბასტია"-"ოსერი" უამინდობის გამო გადაიდო.

ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, ფრანგული ფეხბურთის კლასიკა, ჰსპ-"მარსელი" ნწევდა. მოუხედავად იმისა, რომ მატჩი ლიგის თასის ეგიდით იმართებოდა, გუნდების თითქმის იდეალური შემადგენლობით ითამაშეს. შეხვედრის ბედი 27-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც **როდ ფანმ** საკუთარ საჯარიმოში იუხეშა. არბიტრმა, სტუმართა კარში არა მარტო პენალტი დანიშნა, არამედ ფანის წითელი ბარათიც უჩვენა. 11-მეტრიანი ზუსტად **ტიაგო სილვამ** დაარტყა და მასპინძლები დაანისნურა.

"მარსელმა", მიუხედავად კაცნაკლულობისა, გაბრძოლება სცადა, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში **ჟერემი მენეზის** გოლმა სტუმრებს ყველანაირი ენთუზიაზმი გაუქრო და პარიზელებმა მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მშვიდად მიიყვანეს.

გათამაშებას გამოეთშა ერთ-ერთი ფავორიტი "ლიონი", რომელიც სტუმრად "ნიცასთან" "ბლეკრიგში" დამარცხდა.

1/4 ფინალის წყვილები უკვე ცნობილია. 27 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან: **"მონპელიე"-"ნიცა", "ბასტია"/"ოსერი"-"ლილი", "სენტ ეტიენი"-ჰსპ, "რენი"-"ტრუა".**

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ძიუდო. მსოფლიოს გუნდური პირველობა

ჭრიკიშვილის ორმაგი ნარმაგება

ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიოს გუნდური პირველობა ავთანდილ ჭრიკიშვილისთვის (81) ორმაგად ნარმატებული აღმოჩნდა - გუნდთან ერთად მოპოვებული ბრინჯაოს მედლის გარდა, მისი ამოსმული ბრიტანელ ტომ რედთან ტურნირის საუკეთესო გდებადაც დაასახელეს. არადა, ტურნირზე არაერთი ღირსეული გდება ვიხილეთ და მართლაც საამაყოა, ამ ჯოპორტაში საუკეთესოდ ჩვენებური რომ გამოარჩიეს.

ჭრიკიშვილისთვის (ლურჯი) ლამაზი გდებები უცხო არაა

გდება კი მართლაც ჩინებული, უიშვიათესი გამოდგა. როგორც ჭრიკიშვილმა გვითხრა, ბრიტანელი კარგად „მოაჯდა" ილეთზე და მიზანშიც მოხვდა - ჩვეულებრივი ამპლიტუდით კი არ დაეცა, ლამის ორჯერ დიდი წრე მოხაზა მაერში და პირდაპირ კისრით დაეჭდო ტატამის! ეს რომ საუკეთესო ილეთად აღიარეს, ჩვენებურმა მაშინ გაიგო, როცა მეგობრების დამთავრებისთანავე ის ძიუდოს რეპრეზენტაციის ცნობილმა წამყვანმა შეკრიბა ფრანკო-როქსქის პირდაპირ ეთერში მიიწვია - ჭრიკიშვილის აშკარად ეტყობოდა, რომ დაიბნა.

ეს ტურნირი ჩვენთვის გამორჩეული სხვა რამითაც გამოდგა - **ირაკლი ცირეკიძის, ლაშა გუჯეჯიანისა და გიორგი ვაზაგაშვილის** სამწვრთნელო შტაბმა შეძლო გუნდის გარდაქმნა და ლამის ყველა ახლეშერო სახით ვიხილეთ: მნიშვნელოვნად მოუმატებია **შალვა ქარდავას** (66), კარგად იჭიდავა **ზებედე რეხვიაშვილმა** (73), პროგრესი იყო **ნუგზარ ტატალაშვილის** (73) და იმავე ჭრიკიშვილის გამოსულაბი, რომელიც ახლა უფრო თავისუფლად ჭიდაობდა, თითქოს ვიღაცამ ძველი სიმძიმე ჩამოხსნაო... ერთი სიტყვით, მომავალს ახლა უფრო იმედით ველოდებით, ვიდრე თუნდაც - ერთი წლის წინათ.

ჩვენი გუნდი ოთხშაბათ საღამოს დაბრუნდა ბრაზილიიდან და ბიჭებსაც გავესაუბრეთ, თუმცა ყველაზე მეტი სალაპარაკო, ცხადია, ჭრიკიშვილთან გვქონდა და თავიდანვე მას მივმართეთ.

- გილოცავთ ამ ორმაგ ნარმატებას და მოდით, თავდაპირველად ის ილეთზე ვისაუბროთ, რომელმაც პერსონალური ჯილდო მოგიტანათ...

- ამისმული ჩემი საყვარელი ილეთია, რომელსაც ბავშვობიდან ვაკეთებ და სულ ვცდილობ, ამით მოვიგო. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი „ბრენია და მიხარია, ამჯერად ყველაფერი ზუსტად რომ გამომეიგდა. საერთოდ, სულ ვცდილობ, უნაკლოდ შევასრულო ეს გდება, მაგრამ ყოველთვის არ გამოდის. იმ მომენტში ბრიტანელიც ისე კარგად დამიდგა, ყველაფერი მიზანში იყო მორტყმული და გდებაც ზუსტად შევასრულე. სწორედ ისე, როგორც მინდოდა, გამოსულიყო. წინადღეს მეგობრისაც ვუხსნიდი, ასე და ასე კეთდება, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის-მეთქი, ან, მაშინ კი გამომივიდა. ილეთი რომ კარგად გაკეთდა, ამას მაშინვე მივხედი - რაც უნდა დაძაბული ვიყავი, კაცი რომ ბაერშია ანეული, ამას შენც ხედები, მაგრამ იმ ტურნირზე საუკეთესო გდებად თუ დაასახელებდნენ, არ მეგონა. მით უფრო, სხვებმაც გააკეთეს კარგი ილეთები. ტატამზე რომ ვიდექი, შეილოცნიმს დამიძახა, ამოდიო და მაშინ გავიგე, რომ თურმე საუკეთესოდ დავუსაბელბიგართ. შეცდომს ძალიან უყვარს ქართველები და ისეთი გახარებული იყო, თითქოს ეს ილეთი მას გაეკეთებინოს.

- პირადად თქვენი ჭიდაობით თუ ხართ კმაყოფილი?

- ჯერ გუნდის გამოსულაზე ვიტყვი - მეცილით კმაყოფილი ვარ, რადგან ოთხი წელიწადია, შედეგების მოპოვება გვიჭირს. პირადად მე რაც შემეხება, იაპონელთან შეხვედრაზე წწყდება გული, ვფიქრობ, ის-გასაყრახილებელი იყო. კუბელთანაც უკმაყოფილო ვარ... ჩემი თავისგან ყოველთვის უფრო მეტს მოვითხოვ და ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. დასანანია, როცა მოგება შეგიძლია და წააგებ. იაპონელს ჩავლებით რომ ჯობნი და მაინც დამარცხდები, საწყენია.

- თქვენს ახლანდელ ჭიდაობას წინა წლებისას რომ ადარებთ, რა სიახლეს ხედავთ? თითქოს უფრო თავისუფლად ჭიდაობდით...

- კი, ახლა უფრო მომატებული მაქვს, მეტად ვაანალიზებ შეხვედრებს, მეტად ვაკვირდები ჩემს გამოსულთან და დაშვებულ შეცდომებს, თითქოს უფრო მეტ ხარვეზს ვხედავ... მწვრთნელებიც გვერდში გვედგნენ და დასვენების საშუალებას გვიძლევდნენ, რისი შანსიც ადრე, პატერ ზაიზენბაერის ხელში არ გვეძლეოდა. ახლა თითქოს უფრო დაღლდა სავარჯიშო სისტემა. მაგალითად, მსოფლიოს პირველობის წინ გაგვლილ შეკრებაზე ეიდეე გვასვენებდნენ და ფეხბურთსაც ვთამაშობდით. სავარჯიშო სისტემის შეცვლამ ყველაზე დადებითად იმოქმედა. თუნდაც შალვა ქარდავას მაგალითი ავიღოთ, რომელმაც საგრძნობლად მოუმატა. სწორი ვარჯიში ხომ ბევრს ნიშნავს. შეიძლება ბევრი იმუშაო, მაგრამ - არასწორად.

- თქვენი შეფერხების მიზეზად რას მიიჩნევთ. თქვენი აზრით, რამ შეგიშალათ ხელი კარიერის წარმატებით გაგრძელებაში?

- ვფიქრობ, დასვენება და სხვანაირი ვარჯიში მჭირდებოდა. ახალგაზრდული ნაკრებიდან გადმოსული შემდეგ არც დამისვენია - სამშაბათს მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობიდან რომ დავბრუნდი, ხუთშაბათს უკვე ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე წამიყვანეს. მერე ზაიზენბაერიც მოვიდა და არც ამომისუხთქავს. ვარჯიში და დატვირთვა აუცილებელია, მაგრამ მერე უნდა დაისვენო კიდეც...

ბრაზილიური ტურნირის შესახებ აზრის გამოთქმა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, ევროპის მოქმედ ჩემპიონ **ვალერი ლიპარტელიანსაც** (90) ვთხოვეთ: *„შედეგით კმაყოფილი ვარ - ოლიმპიადის შემდეგ ფორმის პიკში არავინ არის და აქედან გამომდინარე, მედლის მოპოვება კარგია. ცხადია, უფრო მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ იაპონის ნაკრებთან ცოტა დავაკლდით და 2:3 წავაგეთ. შევეცდებით, მომავალში პირადშიც და გუნდურშიც გამოვსწოროთ შედგომარება. მსოფლიოს პირველობამდე ერთი შეკრება გაგიარეთ, ზოგი ვერ იყო ფორმის პიკში, თუმცა შედეგი მაინც გვქონდა. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით იყო წამოსული, მაგრამ ძლიერი გუნდები იყვნენ, ყველასთან საქიდაო იყო. ჩვენს ნაკრებში ძალიან კარგი ვითარებაა, ყველაფერი ნორმალურადაა და გუნლეციკვ მწვრთნელთა კორპუსს ამ ახალ წარმატებას" - გვითხრა მან.*

შალვა ქარდავას ბრაზილიაში ლიდერის ტიტული ერგო - ის ნებუნდა ყველა შეხვედრას. ამდენად, მისი პასუხისმგებლობა დიდი იყო, თუმცა, საბედნიეროდ, ამ რთულ ამოცანას თავი კარგად გაართვა და ადრინდელთან შედარებით საგრძნობი პროგრესი გვაჩვენა. მან ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგო, თუმცა სტატისტიკაზე დამამდებელი მისი ჭიდაობის ხარისხი. აი, რა გვითხრა ქარდავამ: *„ტურნირისთვის კარგად მოვემზადეთ, ანაკლოში გავიარეთ მკურნი და მეტ-ნაკლებად ფორმაში ვიყავი, თუმცა ჩემი ჭიდაობით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ, მეტიც შეიძლებოდა. სამომავლოდ ფიზიკურად უნდა მოვემზადო".*

ირაკლი თაბაძე

ქადრაკი

ბელა ხოტენაშვილი

დაფნის გვირგვინისთვის ოთხი ქართველი იბრძოლებს

ჩიგბურდანიძის უარი

რუსულ ხანგი-მანსიისკში 10 ნოემბერს დაინყება და 2 დეკემბერს დასრულდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტატამეზე ჩატარდება. პირველ ხუთ რაუნდში ასპარეზობის მონაწილენი ორ-ორჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს კლასიკურ პარტიებში. გასაბრძოლებლად 1,5 ქულა იქნება საკმარისი. ნინააღმდეგ შემთხვევაში უძლიერესს სწრაფი ჭადრაკი და ბლიცები გამოავლენს.

მოპოვებული ადგილებით ტურნირში ექცევა ქართველ დიდოსტატს უნდა ეთამაშა, მაგრამ ხუთჯერ მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** მონაწილეობაზე უარი თქვა - აქტიურ ჭადრაკს ჩამოეშორდიო, **ნანა ძაგნიძე** კი მაღე დედა გახდება და, ცხადია, ხანგი-მანსიისში მისი გამგზავრებაც გამორიცხა. ამდენად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი ქართველი მოსინჯავს ძალებს - **ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე და სოფიკო ხუხაშვილი.** მათთან ერთად დაფნის გვირგვინისთვის იბრძოლებენ ორგზის ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი, ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი), მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონები - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ანტოანეტა სტეფანოვა, მსოფლიოს ექსჩემპიონი ჟუ ჩენი (ჯაპარი), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), პია ცრამლინგი (შვედეთი), კატერინა ლაგნო (უკრაინა), ევროპის ჩემპიონები - ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ელინრა სკრაჩენკო (საფრანგეთი). ასე რომ, ბრძენთა თამაშის მოყვარულებს საინტერესო და დაძაბული პაექრობები ელით. პირველ ეტაპზე ბელა ხოტენაშვილი (2504) მარიზა არიბასს (კუბა, 2273) დაუპირისპირდება, ლელა ჯავახიშვილი (2455) - ანასტასია ბოგნარუკს (რუსეთი, 2415), ნინო ხურციძე (2428) - ელენა დემბოს (საბერძნეთი, 2454) და სოფიკო ხუხაშვილი (2383) - ელინა დანიელიანს (სომხეთი, 2476).

წილისყრა და ვარაუდები

საერთო მონაცემებისა და რეიტინგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხუხაშვილის გარდა, დანარჩენ ჩვენს დიდოსტატებს ისეთი მეტოქეები ჰყავთ, მომდევნო რაუნდში გასვლას არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატში სუსტები არ მონაწილეობენ და იქ იოლი გასეირნება არავის ელის.

ჩვენებურთა გარდა, მოასპარეზენი პირველ ტურში ასე დანყვილდნენ: ჰოუ იფანი (2606) - პანასინგჰი (შრილანკა, 1821), ჰამფი კონერუ (2610) - დენის ფრანკი (ამხრეთ აფრიკა, 1871), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2586) - ანინა მეზოული (ალჟირი, 2055), ჟაო სუე (ჩინეთი, 2565) - ნატალია ხოდგარიანი (კანადა, 2138), კატერინა ლაგნო (2553) - მონა ხაელიდ (ეგვიპტე, 2155), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2539) - მელისა გასატრილოს გომესი (ლილება, 2159), ვიქტორია ჩმილიტე (2524) - ინგრიდ ალიაგი (პერუ, 2175), მარი სეპაგი (საფრანგეთი, 2521) - ირინა ბერეზინა (ავსტრალია, 2190), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2517) - სიათბინ ჯუ (ჩინეთი, 2209), ნია კრამლინგი (2516) - ჰუო ხაღერი (ირანი, 2219), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2515) - მაგინა დენლეტბაიევა (ყაზახეთი, 2220), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2512) - სვამინათან სოუმია (ინდოეთი, 2251), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2501), - თათეკა ბრაჰმანიინი (აშშ, 2304), ცზოუ ვენძოუნი (ჩინეთი, 2501) - ათუშა პურკაშიანი (ირანი, 2321), ანტოანეტა სტეფანოვა (2491) - მარინა რომანკო (რუსეთი, 2355), ჟუ ჩენი (2491) - ნასტასია ზაზოზულინა (ბელარუსი, 2367), ანა ზატონსკიხი (აშშ, 2489) - კაროლინა ლუჯანი (არგენტინა, 2369), ნატალია პოგონინა (რუსეთი, 2478) - სვეტლანა მატველევა (რუსეთი, 2377), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2476) - ქრისტინა-ადელა ფოიმორი (რუმინეთი, 2383), თან ჰოანგი (უნგრეთი, 2470) - ვეგენია ოვოდი (რუსეთი, 2384), ირინა კრუში (აშშ, 2470) - რუუან ლი (სინგაპური, 2394), ალისა გალიამოვა (რუსეთი, 2468) - ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 2409), ოლგა გირია (რუსეთი, 2467) - ივეტა რაილიჩი (პოლონეთი, 2410), ჰუან ქიანი (ჩინეთი, 2465) - შენ იანი (ჩინეთი, 2413), ლილიან მკრტჩიანი (სომხეთი, 2457) - ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია, 2414), ანა უშენინა (უკრაინა, 2452) - დეიზი კორი (ირლ, 2429), ნატალია ჟუკოვა (2451) - გუო ქი (ჩინეთი, 2432), მონიკა სოჩკო (პოლონეთი, 2445) - ელმირა სკრაჩენკო (საფრანგეთი, 2441).

რეალობა და სურვილები

მას შემდეგ, რაც გუშინ ცნობილი გახდა ნილისყრის შედეგები, ბელა ხოტენაშვილს (საერთაშორისო დიდოსტატი, 16-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი, 2012 წლის საქართველოს ჩემპიონი, 2009 წელს მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა და მე-4 დაფაზეც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, 2010 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუნდურსა და მე-4 დაფაზე მესამე ადგილები დაიკავა, შარშანაც გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ბრინჯაოს მედალი ერგო) ვესაუბრე:

- თბილისში 2011 წლის ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავე, რითაც მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვე. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ სტურუასთან ვმეცადინეობდი, ოქტომბრის დასაწყისში ერთი კვირა დიდოსტატ თორნიკე სანიკიძესთან ვივარჯიშე. დანარჩენ დროს შინ ვემზადებოდი: ჩემი მეუღლე - მალხაზ სულაბიელი საერთაშორისო ოსტატია და ის მუხმარებოდა. ახლა, როცა მეტოქის ვინაობა გაირკვა, კონკრეტულად მასთან შესახვედრად მოვემზადები. კუბელი მარიზა არიბასი 41 წლის კუბელი დიდოსტატია. პირველად ნლეულს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ვნახე. ჩვენი გუნდის კუნძულელებთან შეხვედრისას არიბასს ლელა ჯავახიშვილმა მოუგო. ვეცდები, მეც არ გავიბნელო ქომაგები. ხანგი-მანსიისკში გამგზავრებამდე ისევ, ალბათ, ზურაბ სტურუასთან ვემეცადინეობ. ნოკაგ-სისტემით პირველად ვითამაშებ. ამბობენ, მოასპარეზენი დიდი ფსიქოლოგიურ ნნეხის ქვეშ არიან, რადგან თითოეულ რაუნდში ორი კლასიკური პარტია თამაშდება და ერთი შეცდომაც კი, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. ვეცდები, მსგავსი შეცდომები არ დავუშვა და ჩემპიონატში, რაც შეიძლება, ნინ ვავიდე.

ვაჟა დანელია

ოთხი ჭური მოიღვარა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ვაჟებში საქართველოს პირველი დიდოსტატის - **ბუხუტი გურგენიძის** მემორიალი, რომელშიც 8-14 წლის გოგო-ბიჭები მონაწილეობენ. უკვე მიილია 4 ტური. 8-წლიანებში ქულათა მაქსიმუმით საბა ლომსაძე და თორნიკე ნასარიძე ლიდერობენ (გუშინ მათ დავით გაბუნია და ანდრია ლოლაძე დაამარცხეს). დანარჩენ ასაკში უდანაკარგო არავინ დარჩენილა, 3,5-3,5 ქულით კი მენინავეობენ: 10-წლიანებში - ანასტასია სიდამონიძე, თამარ ლაგაზაური (ლალი გარსიამვილსა და მარიამ მექვეურიშვილს სძლიეს), მარლენ გუნია, ლუკა ობოლაძე (დაზვერვა) და მათე თოდაშვილი (სარა ტრაპაიძეს, დავით ქანთარიასა და ლალემე ხუციშვილთან ერთად, ნინააღმდეგ დაშორდნენ ერთმანეთს), ლუკა ბუკია, ლუკა შამუგია (მე-4 ტურში ყიამზე შეთანხმდნენ). 14-წლიანებში - ანა ჩხეიძე (ელენე ჯაფარიძეს მოუგო) და რევაზ ტატუნაშვილი (თორნიკე არჯევანიძეს გაარჩერებინა საათი).

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

გეკითხება „ლელო“

შეკითხვა: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გავეცანი ახალ დებულებას „სპორტის სფეროში სამპატრო წოდებების მინიჭების შესახებ“. გაბედვით, რომ ჩამონათვალში საერთოდ არაა ნახსენები სპორტის ოსტატის წოდება. თუ წარსულზე ვამბობთ უარს, მაშინ რატომ ვანიჭებთ ისევ „საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“, დიდოსტატის და აშ. წოდებებს? თითბერი ამპარწიწებენ მკერდზე სპორტის ოსტატის ნიშნის ტარებით. შეიძლება თუ არა ნესდებაში ცვლილებების შეტანა?

ვაჟა პაპაშვილი
გორი

პასუხი: თქვენ მიერ ხსენებული დოკუმენტი ხანგრძლივი განხილვა-მსჯელობის შედეგადაა მიღებული. ვერ გეტყვით, რომ შეუძლებელია დებულებაში ცვლილების შეტანა, მაგრამ გეტყვით, რომ ყველა სპორტულ ფედერაციას აქვს მინიჭებული უფლება კომპეტენციის ფარგლებში შემოიღოს სპორტული ნახაზლისების გარკვეული ფორმა, მათ შორის სპორტის ოსტატის და სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება...

საბჭოთა კავშირის დროს იყო ასეთი წოდება და მას ერქვა Мастер спорта СССР მერე რუსეთმა და სხვა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა თავისი ახალი სამკერდე ნიშანი შექმნეს. ასე რომ, ბევრს ეს სპორტული სიმბოლო არ გაუუქმებია და კვლავ რჩება სპორტსმენის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან მოვლენად ამ ნოდების მოპოვება.

სიტუაცია

აღდგება სპორტის აკადემია?

ახალი მთავრობის პირველ ოფიციალურ სხდომაზე ის კითხები განიხილეს, რომლებიც ნლის კარგად ჩამთავრებისთვის იყო საჭირო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანის** თქმით, ერთ-ერთი აქტუალური სპორტთან დაკავშირებული საკითხი იყო.

„მოკეთხვიდა, რომ სპორტის აკადემია აღარ ფუნქციონირებს და მის აღდგენაზეა ლაპარაკი“ - განაცხადა ლევან ყიფიანმა.

სადავო არც არის, სპორტის აკადემიის აღდგენა ქართული სპორტის განვითარებისთვის აუცილებელია. ის, რომ მისი სტრუქტურა სწორად არ იყო მონყობილი და ბოლო წლებში, სწავლის დონე მკვეთრად დაეცა, სულაც არ ნიშნავდა, რომ უნდა დაეხურათ.

გონივრული მიდგომით, სავსებით შესაძლებელია სპორტის აკადემიაში მწვრთნელები, სპორტული მენეჯერები და სპორტისთვის აუცილებელი ბევრი სხვა სახის სპეციალისტები აღიზარდონ.

მერაბ მამულაშვილი

ფოტომატიანე



ამიერკავკასიის ინსტიტუტი

ეს ისტორიული ფოტო საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმში გუშინ გვიჩვენა ამ მუზეუმის, შეიძლება თამამად ითქვას, საქმეზე თავგადაკლულმა ენტუზიასტმა თანამშრომელმა **ლილი ლომსაძემ** (შეგახსენებთ, რომ მუზეუმი განთავსებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს I სართულზე).

ცხადია, ფოტოზე დაგვანტერესა. კადრში (მარცხნივ) ასახულია ბაქოში ამიერკავკასიის ფიზკურო კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორია, მარჯვნივ - სასწავლებლის შესასვლელი ბრით. რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე. სპორტის დარგის პირველი კადრები სწორედ ამ სასწავლებლის კედლები მზადდებოდა, 1930-იანი წლების დასაწყისში. მემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, 1939 წელს კი ფაკულტეტი გამოცყო უნივერსიტეტს, როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი. აკადემის სტატუსი მიენიჭა 1994 წელს. ბოლო 5 წელინადია აკადემია აღარ ფუნქციონირებს და ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადება შეწერებულია.

თენგიზ გაჩეჩილაძე

ლენინის დროშით:

მსაჯი . . .

სპორტი

მასპინძელთა მწვრთნელი

ოზიშვილი ქობულეთში დიდი აურზაური იყო, მსაჯები გალახებას ბეწვზე გადაურჩნენ, თუმცა სიტყვიერ შეურაცხყოფას, იცოცხლეთ, უხვად გაიგონებდით. ეს ამბები ჩვენმა ჟურნალისტმა **მამუკა ქანთარიამ** სათანადოდ აღნერა. აქ კი მოკლედ გაგახსენებთ და დასკვნაც ერთად გამოვიტანოთ.

დამატებულ დროში სტუმრებმა ბოლონისელებმა ბურთი აართვეს ბათუმელ მცველს, რასაც **ფეიქრიშვილის** გოლი მოჰყვა. მასპინძლები არომეცნიასას წესების დარღვევის დაფიქსირებას და გოლის გაუქმებას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ... სწორედ ამას მოაყვა აყალმაყალი და მსაჯები ვინების აკომპანირებით შეაცილეს გასახდელში.

ბათუმელთა მწვრთნელის კომენტარის ხილვის საშუალება ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში გქონდათ: „რა კომენტარი უნდა გავაკეთო? თქვენ თვითონ გააკეთეთ კომენტარი, რაც გინდათ, ის დაწერეთ! რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? მსაჯი? სად გვყავს მსაჯი? მაგათი... (ცენზურა) და ფეფელაციის... (ცენზურა)!!! დაწერეთ, რომ ნაგაი ბათუმის „დინამოს“ და მსაჯი არაფერ შუაშია, გაუხარდებათ ფეხბურთის ფედერაციაში! რა უნდათ, ვერ გავიგე! ან ასეთი მოგების... (ცენზურა)“.

მოკლედ, ჩვენს ცხოვრებაში კომპლიმენტრი შემოიჭრა, ტყეშია ისე განვითარდა, რომ სადაცაა ევროპაში თამაშებს ვიდეორეფერი განსჯის, შეცდომებიც მინიმუმამდე შემცირდება, ჩვენ კი არაფერი გვეშველება. ვართ ძველ, კომუნისტურ ეპოქაში, სადაც ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა, ოფიციალურ თამაშებს მწვრთნელები სჯიდნენ, ფეხბურთელები ყოყოჩობდნენ, მოეწინააღმდეგე გადაოდნენ და მატჩის ჩაშლით იმუქრებოდნენ.

გვრინავრამეს ვამცნებთ? თუ არ გვჯერათ, სპჭოთა დროინდელი ხარაგაულის გაზეთი „ლენინის დროშით“ გადავშალოთ, რომელში მოთხრობილი ამბავიც ერთი-ერთზე უგავს „ჩელუ არენაზე“ დატრიალებულ მოვლენებს. უუბლოკაციის სათაურია „მსაჯი... მასპინძელთა მწვრთნელი“. სტილი დაკვირვება:

„საქართველოს პირველობის მეორე ლიგის ცენტრალური ზონის მატჩზე, ქარელის „იბერიასა“ და ხარაგაულის „ჩხერიმელას“ შორის, რომელიც 6 სექტემბერს ჩაგარდა ქარელში, მსაჯები არ გამოცხადდნენ. მასპინძლებმა მაინც ნახეს გამოსავალი და შეხვედრის არბიტრობა „იბერიის“ მწვრთნელმა(!) ითავა. ასე რომ, თავიდანვე გაირკვა, რამდენად ობიექტური იქნებოდა მსაჯობა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ „ჩხერიმელა“ ამ დღეს შეუთანხმებლად, სპორტული ჟინის გარეშე და ერთობ სუსტად თამაშობდა. მეთხუთმეტე წუთზე მცველისა და მეკარის შეცდომის შედეგად ბურთი სტუმრთა კარში აღმოჩნდა. „ჩხერიმელასაც“ ჰქონდა ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში „მონოდების სიმაღლეზე“ იდგა მსაჯი. იგი მასპინძელთა კართან შექმნილ სახიფათო მომენტებში უმალვე სასტვენეს მიმართავდა და მოუხედავად იმისა, იყო თუ არა წესის დარღვევა, ნიშნავდა საჯარიმო დარტყმის სტუმართა მხარეს. და როცა მეორე ტაიმის მეთორმეტე წუთზე ქარელელებმა პირით ბაზზე გადასული ბურთი კუთა მინდორზე შემოიტანეს და ვითომ არაფერი მომხდარიყოს, თამაში ჩვეულებრივ გააგრძელეს, მსაჯის სასტვენი სდუმდა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მასპინძლებმა იოლად გაიგზანეს მეორე გოლი. ახლა კი სამართლიანი პრობლემის ნიშნად „ჩხერიმელამ“ მინდორი დატოვა და თამაშიც შეწყდა.

კარგა ხნის ჩოჩქოლის შემდეგ მსაჯმა შეცდომა აღიარა, ბოდიში მოიხადა და მატჩიც გაგრძელდა. ეს კი უკვე თამაშს აღარ ჰგავდა, ფეხბურთელები ანერვიულდნენ, ორივე გუნდი უხეშ თამაშს მიმართავდა.

ბოლო წუთებზე სტუმრები გააქტიურდნენ და ბესიკ კიკნაძემ მნელი მდგომარეობიდან შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა.

მატჩის საბოლოო შედეგია 2:1 „იბერიის“ საპარგებლოდ.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ „ჩხერიმელამ“ ბოლო მატჩებში თამაშს მნიშვნელოვნად უკლო, სამაგიეროდ უმატა ყოყოჩობას, უდისციპლინობას. ვიდრე გვიან არ არის, გუნდის მესვეურებმა კოლექტივში საჭირო წესრიგი უნდა დაამყარონ.“

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, თუმცა მკითხველს ერთი კითხვა მაინც გაუჩნდებოდა: თუ არბიტრმა ბოდიში მოიხადა და შეცდომა აღიარა, იმ ეპიზოდში გატანილი გოლი არ გაითქმა? პასუხი მოჩვენი წარსულის მტვერშია ჩაკარგული...

საშინაო ბინაგა

ქართველები NBA-ში

ფაჩულია: ვითამაშებ

ამ სტატიის ნაცვლად უნდა დაგვეწერა „ბრუკლინისა“ და „ნიუ იორკის“ დაპირისპირების მიმიხილვა, რომელშიც ქართველ **თორნიკე შენგელაიას** უნდა ეთამაშა. თუმცა, ბრუკლინელებმა NBA დაგეგმილ დროს, პირველ ნოემბერს ვერ გახსნეს. მიზეზი „სინდია“ - ქარიშხალი, რომელმაც ნიუ იორკში კატასტროფა გამოინვია.

ასე და ამგვარად, შენგელაის თანაგუნდელები ახალ სეზონს 3 ნოემბრის გახსნიან - „ტორონტოს“ უმასპინძლებენ.

დღეს (2 ნოემბერს) **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსი“ დაიწყებს. მისი მეტოქე „ჰიუსტონი“ იქნება.

კვირის დასანყისში ამერიკულმა საიტებმა დაწერეს - ზაზა ფაჩულიას მოედანზე გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშაა, კოჭი ანუხებსო. ასეთივე ტრავმა ჰქონდა გამთამაშებელ **ჯეფ ტოჭს**...

ბოლო ინფორმაციით, ზაზა და ჯეფი გუნდს უკვე შეურთდნენ, „ატლანტასთან“ ერთად ვარჯიშობენ და „ჰიუსტონთან“ ითამაშებენ. „ბოლო ინფორმაცია“ პირველწყაროდაა.

- *ახლა ჩემ გვერდითაა ჯეფ ტოჭი. მასაც კოჭი აწუხებდა. ორივე ყინულის ვიდეობი მარცხენა ფეხზე. რაც მთავარია, ტრავმა უკვე მოვიშუშე, თავს კარგად ვგრძნობ და 2 ნოემბერს „ატლანტას“ დავეხმარები. იმედი მაქვს წარმატებული სეზონი გამოვივლი, - გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა.*

გამოცემა „სპორტს ილუსტრეიტედში“ გამოქვეყნდა თითოეული ატლანტელის დახასიათება კარსმომდგარი სეზონის ნინ. აი, რა წერია ფაჩულიას შესახებ:

„დიდი ხანია, ზაზა ფაჩულიამ გულიანი და ენერგიული თამაშით „ატლანტას“ ფანების გულები მოიგო. იგი მონდომებით იბრძვის ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის, რასაც ქომაგები ძალიან აფასებენ.



სხვათა შორის, იგი გასულ სეზონში ატლანტას საუკეთესო შეტევითი მომხსნელი გახლდათ. თაყის მხრივ კი „ჰოქსი“ NBA-ს გუნდებს შორის 28-ე იყო შეტევითი მოხსნების რაოდენობით. ეს მეტად დაბალი შედეგია, რის გამოსწორებასაც „ყორები“ ახალ სეზონში ეცდებიან.

ნლეულს ზაზას მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება მეტჯგუფის მეორე ფაზაში გადაყვანის პროცესში. მის ენერგიულობაზე ბევრი იქნება დამოკიდებული. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო „ჰოქსს“ საკუთარი თამაში აქვს საპოვნი. ეს რთული იქნება, მაგრამ ზაზა ფაჩულიას ნათქვამი უნდა გავიხსენოთ: „იოლი არაფერია“.

დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.“

2012-2013 წლების ახალგაზრდული სეზონი

ნოემბრიდან...

18-წლამდელები

დღეს სტარტს აიღებს საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. 2012-2013 წლების სეზონში მონაწილეობას 18 გუნდი მიიღებს: „მსს აკადემია“, „რუსთავი“, რუსთავი 2“, „ნიკეა“, „მაროვე“, „მაროვე 2“, „მაროვე 3“, „პიუნდაი“, „ჰიუნდაი 2“, თსსუ, „აკადემია“, „აკადემია 2“, „ქუთაისი“, „დინამო“, „მარნეული“, „მაქაბი“, „თელავი“ და ნარები-97.

თამაშები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, მარნეულსა და თელავში გაიმართება.

წლეულადელი ჩემპიონატი სამ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე 18 გუნდი ერთ წრეს ითამაშებს, რომლის დასრულების შემდეგ გუნდები ორ ჯგუფში შემდეგნაირად გადანანილდებიან: A ჯგუფში მოხვდება საუკეთესო შედეგების მქონე პირველი 8 გუნდი, B ჯგუფში კი დანარჩენი - 10. ქვეჯგუფებში თამაშები ერთ წრედ გაიმართება. პირველი ეტაპის შემდეგ A ჯგუფში მოხვედრილ 8 გუნდს და ბარეთვე იმ 10-ს, რომლებიც B ჯგუფში იასპარეზებენ, პირველ წრეში ურთიერთშეხვედრების შედეგად მოპოვებული ქულები შეუნარჩუნდებათ.

B-ში მოხვედრილი 10 გუნდი მხოლოდ ერთ წრეს ითამაშებს და საბოლოოდ მეცხრე-მეთოთხმეტედგილისნებად კლასიფიცირდება.

მესამე ეტაპზე A ჯგუფში გასული 8 გუნდიდან მეოთხედფინალში ყველა იასპარეზობს, I-IV-ადგილისნები კი ალეი ოფის სისტემით ორ მოგებამდე ითამაშებენ.

16-წლამდელები

16-წლამდელთა ჩემპიონატი 4 ნოემბერს დაიწყება. ლიგაში 24 გუნდი იასპარეზობს, რომლებიც A და B ჯგუფებში განანილდნენ.

A ჯგუფი: „რუსთავი“, „რუსთავი 3“, „ქუთაისი 2“, „მარნეული“, „ჰოუნდი“, „მსს აკადემია“, „აკადემია 2“, „მაროვე 3“, „სოხუმი“, „ორბი 2“, „აჯქმუსი“, „მაროვე“.

B ჯგუფი: „რუსთავი 2“, „ქუთაისი“, „ბათუმი“, „ორბი“, „აკადემია“, „მაროვე 2“, „მაროვე 4“, TBC, AXE, „დინამო“, „იმედი“, „ლოგები“.

16-წლამდელთა ჩემპიონატი ორ ეტაპად ჩატარდება: პირველ ეტაპზე გუნდები ორ ქვეჯგუფში ერთ წრედ იასპარეზებენ. საიდანაც მეორე ეტაპზე 6-6 საუკეთესო შედეგის მქონენი შეადგენენ ორ ფინალურ ქვეჯგუფს, ხოლო დანარჩენი 6-6 გუნდი G და D ჯგუფებში ითამაშებენ. გუნდებს პირველ წრეში ურთიერთშეხვედრების შედეგად მოპოვებული ქულები შეუნარჩუნდებათ.

ფინალურ ქვეჯგუფებში მონაწილე გუნდებიდან 4-4 საუკეთესო პლეი ოფში იასპარეზებს, რომელიც ორ მოგებამდე გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ევროპის ჩემპიონატი, U-17, U-19

ლისაბონური ჩანახატები

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა დასძინეს ტრიუმფი თანატოლებს 20:11 სძლია და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. უმცროსი „მორჯალოსნები" „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" მოსახვედრად იბრძვიან.

წლეულს 19-წლამდელთა ამოცანა იმითაც გართულდა, რომ 12-გუნდიანი ელიტარული დივიზიონიდან იტალია გამოვარდა და ავტომატურად დაიკავა ალაფზე ევროპისთვის არსებული ორი ადგილიდან ერთი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გასულ წელს შესარჩევი ტურნირის ორი ფინალისტი ხვდებოდა ალაფზე, წლეულს მხოლოდ გამარჯვებულ ნაკრები თამამაშებს.

ფინალი 3 ნოემბერს თბილისის დროით 20 საათზე გაიმართება და ჩვენი გუნდის მონინააღმდეგე მასპინძელი პორტუგალია იქნება, რომელმაც ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში, დამატებულ ბრძოლაში, მაგრის უკანასკნელ წუთზე გატანილი ჯარიმის წყალობით 21:18 სძლია ბელგიას.

ნამატჩევს ნაკრების მწვრთნელმა **ლადო კილასონიამ** რუმინეთთან გამართული მატჩი შეაფასა და მომავალ მეტოქეზეც ისაუბრა.

ლადო კილასონია - საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

„მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, პირველ ტაიმში ორჯერ გაგებდით ჯარიმებს საბა ნიკოლაიძემ ორი ზუსტი დარტყმით უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის მეორე ნახევრისთვის გუნდი უფრო დალაგდა, რასაც მურაზ გიორგაძის ლეღო მოჰყვა. ბროძელმა ბურთი ფრთაზე დარჩენილ გიორგაძეს ფეხით გადაუკიდა და ასე გავიდა პირველი ლეღო, ნიკოლაიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა 13:6. პირველი ტაიმის ბოლოს კიდევ ორჯერ შეგვეძლო ლეღოს გატანა თუმცა ორივე შემთხვევაში დასჯნით ფაზაში ვითამაშეთ ცუდად და რეალური სალეღოე მომენტები ხელიდან გავუშვით.

მეორე ტაიმი ჩვენი აქტიურობით დაიწყო, ლეღოს გატანაც შეგვეძლო, თუმცა ხიდეშელს მონინააღმდეგის ჩათვლის მოედანთან ბურთი ხელიდან გაუვარდა. მეორე ლეღო შერკინების კარგი თამაშის შემდეგ გავიტანეთ. დაწინაურებულ შერკინებაში რუმინელებს უკან დავაბეჭინეთ, შემდეგ რამდენიმე მოქლე დარტყმა განვაბორციელეთ და ვაბო ამირანაშვილმა ლეღო გაიტანა. ნიკოლაიძემ ამჯერადაც ზუსტად დაარტყა 20:6.

მოპოვებული სოლიდური უპირატესობის შემდეგ გუნდი მოუშვა და შეცდომებსაც იმატა, შედეგად მეორე ტაიმის დასკვნითი 15 წუთი რუმინელთა შეტევებით ნარინარათა და საბოლოოდ ლეღოც გაგვიტანეს, თუმცა გარდასახვა გაუცუდდათ და საბოლოო ანგარიში 20:11 დაფიქსირდა.

ფინალში მასპინძელ პორტუგალიას ვეთამაშებით, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში, უკანასკნელ წუთზე გატანილი საჯარიმოთი 21:18 სძლია ბელგიას. სწრაფი გუნდია, მოძრავი და კარგი დამრტყმელი ჰყავთ, საკმაოდ რთული მატჩი გველის წინ.

გუნდში რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე გვყავს. კუნთი სტკივათ გიორგი გეგიას და რევაზ ბროძელს, ასევე მიქრფოკრავმა აქეს შანსი შაშიაშვილს, თუმცა ექიმების თქმით, სავარგაშო არაფერია.

აუცილებლად გავკეთებთ მატჩების ვიდეოანალიზს და დეტალურად განვიხილავთ მონინააღმდეგის თამაშის ძლიერ და სუსტ მხარეებს. საშუშაო ბევრია, წინ ურთულესი მატჩი გველის."

■ ■ ■

პორტუგალიაშივე მიმდინარეობს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი, სადაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად კიდევ უფრო დიდი ანგარიშით 55:6 ბელგიელები დავამარცხეთ, მონინააღმდეგეს 9 უპასუხო ლეღო გავუტანეთ და თამაში სრულად ჩვენი კარისახით წარვმართეთ. რაც ყველაზე სასიხარულოა, გუნდმა ძალიან დალაგებული და გააზრებული თამაში აჩვენა, შედეგად მომავალ ნელს ინგლისთან, საორანგეთთან, უელსთან, ირლანდიასთან, შოტლანდიასთან და იტალიასთან ერთად ითამაშებს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტდივიზიონში.

ტურნირი წრიული სისტემით ტარდება და ორგანიზატორებს თამაშები იმგვარად აქვთ დაგეგმილი, რომ ჩვენს ნაკრებს ბოლო მესამე მატჩი მასპინძელ პორტუგალიასთან გაეცრათა. პორტუგალიელებმა პირველი მატჩი ბელგიელებთან მოიგეს და ნესით, დღეს გერმანელების დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ. ფინალური მატჩი 2 ნოემბერს ჩვენი დროით 23:00 დაინყება.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მომავალი მონინააღმდეგის, პორტუგალიის მატჩის სანახავად იმყოფებოდა, ამიტომ ბელგიასთან მატჩის მიმთხილა ნაკრების მენეჯერ **ზურაბ ამონაშვილს** ვთხოვეთ.

ზურაბ ამონაშვილი - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მენეჯერი:

„ძალიან კარგი თამაში იყო, არ შეიძლება არ აღინიშნოს მწვრთნელების მუშაობა, რომელმაც ზუსტად შეისწავლეს ბელგიელთა ძლიერი და სუსტი მხარეები. მოხდა მონინააღმდეგის თამაშის სტილის დეტალური განხილვა, ჩვენებს მიეცათ კონკრეტული დავალებები, რომელიც ბიჭებმა ზედმინევნით შეასრულეს. დაბალანსებული იყო შერკინებისა და ხაზის თამაში, რაც ბელგიელებისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

ჩვენ მიერ გატანილი ლეღოების უმეტესობა იყო კარგად გააზრებული, ზუსტად შესრულებული კომბინაციური და გუნდური თამაშის შედეგი. ბელგიელებმა რამდენიმეჯერ სცადეს სათამაშო სტილის შეცვლა, თუმცა ჩვენი ბიჭები დაცვაში უმეცდინოდ თამაშობდნენ და მონინააღმდეგის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

შერკინებაში მოპოვებული უპირატესობის შემდეგ ბურთი სწრაფად გამოცირდა ხაზზე, რაც ბელგიელებს აიძულებდა, უკან დაეხიათ და დაცვაში ნაპრალები დაეტოვებინათ, რასაც ბიჭები კარგად იყენებდნენ.

ტაიმის ბოლოს, როდესაც უკვე დიდი ანგარიშით ვიგებდით, ბიჭები ცოტათი მოეშვნენ და დაცვაში რამდენიმე შეცდომა დავუშვეს, თუმცა შესვენებაზე მწვრთნელებმა ზუსტი მითითებები მისცეს და თამაში გამოვასწორეთ.

შედეგით კმაყოფილები ვართ, თუმცა საშუალო კლასავაც ვერა და ვეცდებით პორტუგალიასთან მატჩისათვის მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ."

საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახური

ლეგიონერები

მამუკა გორგოძე (მარცხნივ)

ელიტაში ისევ ხუთი ლიდერობს

საშვრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-10 ტურის მატჩები უჩვეულოდ, შუა კვირაში გაიმართა. მოუხედავად ამისა, ყველა ლიდერმა გამარჯვება მოიპოვა და პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა. სასიხარულოა, რომ საბურნირო ცხრილში პირველი ხუთი ადგილი ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ.

გათამაშების ლიდერმა **დავით ქუბრაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" ზურაბ ჟვანიას „სტად ფრანსეს" უმასპინძლდა და 24:19 დაამარცხა. ტულონელებს პარიზელების ძლევა გაუჭირდათ. **ბერნარ ლაპორტმა** სათავამაშოდ ოდნავ გადაბალისებული შემადგენლობა გაიყვანა. სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ დავით ქუბრიაშვილი, **დელონ არმითიჯი, სტეფონ არმითიჯი, საიმონ შოუ** და **ჯო ფან ნიკერკი.** მოუხედავად ამისა, ჩემპიონობის ფავორიტებმა მეტოქეს უამრავი შეცდომა დაათვებინეს, რაც ინგლისელმა მაკ ზავმა **ჯონი ვილკინსონმა** კარგად გამოიყენა. მან რვა საჯარიმო გაიტანა (24 ქულა).

ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მოუღიათ.

„ტულონი" ახლა 41 ქულით პირველ ადგილზეა, მას ხუთი ქულით ჩამორჩება **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად ასევე უმძიმეს მატჩში მოუყო ბოლოსწინა, მე-13 ადგილზე მყოფ „აგენს" - 18:11. აღსანიშნავია, რომ „ვულკანებმა" სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, პირველ ტაიმში მხოლოდ სამი ქულის აღება შეძლეს - 3:0. ასე დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და მასპინძლებს სამი ლეღო გაუტანეს, რაზეც „აგენმა" მხოლოდ ერთით უპასუხა. კლერმონელი სათადარიგოთა მთრის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. ერთ-ერთი ეპიზოდში რაკი თამაშისას, მან მეტოქეს სრულიად უწყინარ სიტუაციაში მუშტი უთავაზა. არბიტრმა ეს ვერ შენიშნა, თუმცა ვიდეოფირზე დაყრდნობით მატჩის კომისარი მოხსენებაში ამ ფაქტს აუცილებლად ჩაწერს და გამორიცხული არ არის, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელს დისკვალიფიკაცია მისცენ.

ზირაქაშვილი ამჯერად განაცხადში არ იყო.

მამუკა გორგოძის, გიორგი ყულებრისა და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონტელიემ" შინ აუმასაიდრო „მონ დე მარსანი" დაამარცხა - 32:16. სტუმრებმა პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა მონტელიელებმა შესვენებამდეც ცხრა ქულით დანინაურება მაინც მოახერხეს.

მეორე ტაიმში მასპინძლთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და ჯამში მეტოქეს ოთხი ლეღო გაუტანეს. გორგოძე 53-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო და ექვს წუთში არბიტრმა სინბინში გაუშვა, ყულებრი განაცხადში არ იყო.

ანტონ ფეიერშვილის „კასტრს", რომელიც 28 ქულით მეხუთე ადგილზეა, უმძიმესი ბრძოლა გადახდა შინ უშვალო კონკურენტ „პერპინიანთან" - 38:36. პირველი ტაიმი მასპინძლებმა შვიდი ქულის სხვაობით 23:16 მოიგეს, თუმცა პერპინიანელებმა შესვენების შემდეგ მალევე შეძლეს ანგარიშის გაქვითვა - 23:23. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და 79-ე წუთისთვის სტუმრები 36:35 იგებდნენ. სწორედ ამ დროს „კასტრის" ცხრა ნომერმა **რორი კოქოთმა** საჯარიმო დარტყმით თავისიანებს გამარჯვება მოუტანა. ეს მორაგბე გუნდში ყველაზე მეფეციანი გამოდგა, მის ანგარიშზე 25 ქულაა (ერთი ლეღო, ერთი გარდასახვა და ექვსი საჯარიმო).

ფეიერშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს.

ვასილ კაკოინისა და **ჯაბა ბრეგვაძის** „ბულუზმა" შინ დაამარცხა პარიზული „მეტრო რასინგი" - 32:13 'კაკოინმა ტარემა მორჩინი და ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, ის 45-ე წუთზე შეცვალეს, ბრეგვაძე განაცხადში არ იყო.

X ჯგუფი

გრენობლი-ბიარიცი 34:21, კასტრი-პერპინიანი 38:36, აგენი-კლერმონი 11:18, ტულონი-სტად ფრანსე 24:19, ბაიონი-პორო 22:11, მონპელიე-მონ დე მარსანი 32:16, ტულუზი-მეტრო რასინგი - 32:13

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 41 ქულა, 2. კლერმონი - 36, 3. ტულუზი - 34, 4. მონპელიე - 32, 5. კასტრი - 28, 6. გრენობლი - 26, 7. პერპინიანი - 21, 8. მეტრო რასინგი - 20, 9. ბიარიცი - 20, 10. სტად ფრანსე - 20, 11. ბაიონი - 19, 12. ბორდო - 15, 13. აგენი - 15, 14. მონ დე მარსანი - 2.

XI ჯგუფი

ტულუზი-მონპელიე, კლერმონი-ტულონი, მეტრო რასინგი-მონ დე მარსანი, სტად ფრანსე-აგენი, გრენობლი-ბაიონი, ბორდო-კასტრი, ბიარიცი-პერპინიანი.

ბესიკ ჯანდაბაძე

უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



იონას ვალანჩუნასი

სხვა მაგჩები

კლიპერსი–მემფისი 101:92

26:24, 23:29, 24:24, 28:15

კ: ჯორჯიორდი (29), ბოლდუინ (13), პოლი (12+12 პასი+4 ჩაჭრა), ჯორდანი (12+7 ბოხსნა), გრიფინი (11+7 ბოხსნა), ბაბიტი (10).

მ: გეი (25+7 ბოხსნა), გასოლი (20+7 ბოხსნა+5 პასი), რეფნოული (15+16 ბოხსნა).

მეორე ლოსანჯელესური კლუბმა „კლიპერსმა" მოგებით დაიწყო ჩემპიონატი, რაშიც დიდი წვლილი მოუძღვის **ჯამალ კროუფორდს**. მან 14-დან 10 ტყორცნა მოათავსა კალათში (მათ შორის შეიდდან სამი სამქულიანი). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სნაიპერმა 29 ქულა მას შემდეგ დააგროვა, რაც სათადარიგოთა სკამიდან დაინყო შეხედვა. რაც შეეხება კლიპერსის მეტოქეს - „მემფის გრიზლისს", მას ძალიან სუსტი რეაღირება ჰქონდა - **გეისა და გასოლის** გამოკლებით, დანარჩენებმა თამაშიდან მხოლოდ 14 ბურთი (52-დან) ჩააგდეს.

ისე კი „მემფისის" ნაგება გასაკვირი არ ყოფილა - ამ გუნდმა ზედიზედ მე-12 (!) სეზონში დაითმო გახსნის მატჩი. ასეთი ანტირეკორდი ჩრდილო ამერიკის არც ერთ პროფესიულ ლიგაში არ დაფიქსირებულა.

ფილადელფია–ნიუჯერსი 84:75

25:22, 21:16, 19:14, 19:23

ფ: ტოუნსი (16+12 ბოხსნა+5 პასი), პოლლი (14+6 ბოხსნა+11 პასი), რიაბა (14+7 ბოხსნა), ტ. ინგრემი (13+5 ბოხსნა), ჩარლზ‌ტონი (10+4 ჩაჭრა+3 დაფარება).

ნ: ლოუსონი (16+5 ბოხსნა+7 პასი), ოუუოდოი (11), ბოლეი (10+7 ბოხსნა+5 პასი).

ბედის ირონიით, **ანდრე იგუოდალას** სეზონში პირველი მატჩის გამართვამ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწია, თანაც ფილადელფიაში. ადგილობრივი ფანები საკმაოდ ცივად შეხვდნენ ანდრეს დაბრუნებას. არ ყოფილა ოვაციები და გახსა-კუთრებული დახვედრა, რაგორც ეს, თავის დროზე, **ალენ აივერსონის** შემთხვევაში იყო.

პოზიციურ ბრძოლაში „დენვერმა" წაგო მასპინძლებთან. „ნაგებსი" ისეთ მარწუხებში მოექცა, რომ პირველი სამქულიანი მხოლოდ მეორე მეოთხედის დასრულებამდე ორი ნუთით ადრე ჩააგდო. მერავიბრუული **გალინარის** არყოფნაში, სტუმრების რიგებში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც თავის თავზე აიღებდა ინიციატივას და სტაბილურად შეასრებდა ქულათა შარავან. შედეგად, 15 ტყორცნის განხორციელებამ მოუნია **ანდრე მილერს**, რომელიც არასოდეს გამორჩეულა კარგი სრულით.

გოლდენ-ინდიანა 88:90

25:27, 23:21, 23:15, 17:27

გ: ლეონარდ (21+7 ბოხსნა+8 პასი+5 ჩაჭრა), ბარნსი (16+3 დაფარება), კლეიტონი (15), ჯილენჩუნასი (12+10 ბოხსნა), დერონ‌ტანი (10+5 ბოხსნა).

ი: უესტი (25), ჯორჯი (14+15 ბოხსნა+5 პასი), ჰიბერტი (14+9 ბოხსნა+5 დაფარება).

„ტორონტოსა" და „ინდიანას" დაპირისპირება, პირველ რიგში იმით იქცევდა ყურადღებას, რომ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში დებიუტი ჰქონდა **ირონას ვალანჩუნასს**. ლიტველს სერიოზული გამომცდელი ჰყავდა ალმოავლეთის საუკეთესო ცენტრის - **როი ჰიბერტის** სახით. ეგროპელს თავი არ შეურცხვენია და პირველი ორმაგი დუბლი (12 ქულა და 10 ბოხსნა) ჩაინერა აქტივში. ცნობისთვის, ჰიბერტმა მხოლოდ 9 ბოხსნა აიღო. თუმცა სტუმრების რიგებში სხვების ნაცვლად ინდომებდა **პოლ ჯორჯი**, რომელმაც 15-ჯერ ბოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი. მაგრამ მთავარი გმირი **ჯორჯ ჰილი** იყო, რომელიც 88:88-ზე ჩააგდო გამარჯვების ორქულიანი.

ჩიკაგო–საკრამენტო 93:87

25:23, 19:17, 25:23, 24:24

ჩ: ნოა (22+10 ბოხსნა+5 ჩაჭრა+3 დაფარება), ბუმელჩინი (19), ბუზერი (18+8 ბოხსნა), დენგი (7+12 ბოხსნა).

ს: ტ. თომპსი (21+8 ბოხსნა), ტორნტონი (15), კობზინი (14+7 ბოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსი (10).

„ჩიკაგოსა" და „საკრამენტოს" შეხვედრა ამ გუნდების ცენტრების დაპირისპირებამდე დავიდა. **დემარკუს კაზინსმა** 27 ნუთში შეიდღომა დაუშვა და ოთხი პერსონალური მიიღო, აგრეთვე „-12" სარეგლიანობის კოეფიციენტი ჰქონდა. ამის ფონზე, ბრწყინვალე მარეხებელი დაადგინარა **ჯოაკიმ ნოამ** - 40 ნუთში 23 ქულა, 10 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 3 პასი და 3 დაფარება. თუმცა საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე **ტაირიკ ევანსის** „მინუს ოთხზე" გვერდითი ხაზიდან ბურთი თამაშში რომ შეეყვანა, ვინც იცის, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩი. „ინდჰოს" მცველი დიდხანს ეძებდა ადრესატს და მსაჯებმა ბურთი (და მასთან ერთად გამარჯვება) „ჩიკაგოს" გადასცეს.

ფინიქსი–გ. სტეიტი 85:87

21:25, 21:23, 25:17, 18:22

ფ: დრაფორი (17+6 ბოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), სკოლა (15+11 ბოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), დედეი (11+6 ბოხსნა), გორტატი (10+9 ბოხსნა+5 დაფარება), ტაკერი (10).

გ-ნ: ლენარდ (17+6 ბოხსნა), ტომპსონი (16+8 ბოხსნა), რაში (14), ჯაკი (10+7 პასი).

ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული შეხვედრა არიზონაში გაიმართა, სადაც **ნეშის** ნასვლით „დაობლებული" ფინიქსი" უიმედოდ აგებდა შეხვედრას „გოლდენ სტეიტთან". სტუმრების უპირატესობა მეორე მეოთხედის შუაში 17 ქულა იყო. თუმცა „გოლდენ სტეიტში" სანინელი პროცენტით ისროდნენ **კარი** და **ლი** - მათ ჯამში 30 ტყორცნიდან 26 აიცილეს. ამან „ფინიქსის" სასარგებლოდ გამოიცო შედეგი და მესამე მეოთხედის დასრულებამდე 3.13-ით ადრე, ნინ მასპინძლები გაეიდნენ. ამ გაქცევის შემოქმედი იყო **დრაგიჩი** (17 ქულა, 8 პასი, 6 ბოხსნა, 3 ჩაჭრა), რომელიც შემდეგ სკამზე დასვეს და როცა ის მოედანზე დაბრუნდა, მის გუნდს უკვე გაფლანგული ჰქონდა რვაქულიანი უპირატესობა. მოუხედავად ამისა, „სანზს" ქონდა გამარჯვების შანსი. კარიმ 4,4 წამით ადრე ორი საჯარიმო გაატყუა („გოლდენ სტეიტი" ორ ქულას იგებდა), ბურთი **სოლომ** მოხსნა, მაგრამ დრაგიჩმა ვერ შეძლო პოლო შეტევის ორგანიზება და ბურთი მეტოქეს ჩააბარა.

იუტა–დენვერი 113:94

25:26, 30:37, 37:13, 21:18

ი: მო უილიამსი (21+6 პასი), მარე. უილიამსი (21), მილსაპი (13+15 ბოხსნა), ფოუე (13), ჯეფერსონი (12+14 ბოხსნა+3 ჩაჭრა), ე. ჰეივორდი (11), უეიფორთი (6+10 ბოხსნა).

დ: კონლიანი (17+7 პასი), რიაბა (15), მაიო (12), მერფორდი (5+11 ბოხსნა).

რეგულარულის პირველ ორ დღეს ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება „იუტამ" დააფიქსირა. **ტაირონ კორბინის** გუნდმა ნინადღეს „ლეიკერსის" სენსაციურად მძლეველი - „დალასი" გაანადგურა. „ჯაზმენთა" რიგებში პრეტენზიულად ყველა კალათბურთელმა კარგად თამაშა: „მაღლების" წყვილმა - **მილსაპმა** და **ჯეფერსონმა** ერთად 29 ბოხსნა მიითვალის (სულ კი „იუტამ" ფარი 61:40 მოიგო), მაგრის გმირებად კი **უილიამსები** უნდა მოვნიშნოთ - **მო** და **მერვინმა** 21-21 ქულა მოიპოვეს. რაც შეეხება ინტრიგას, ის მესამე მეოთხედის ბოლოს გაქრა, როცა 74:74-ზე სტუმრებს მეტოქის 16:2 გაქცევა გამოეპარათ.

იონას ვალანჩუნასი

ჰარდენმა 37-იმ დაჯინყო

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მეორე სათამაშო დღე შედგა

დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი დეტროიტში, სადაც ადგილობრივი „პისტონზი" „პიუსტონს" მასპინძლობდა. ინტერესი კი იმით იყო გამონვეული, რომ „როკეტში" დებიუტი ჰქონდათ **ჯერემი ლინსა** და **ჯეიმს პარდენს**.

მატჩის გმირი სწორედ პარდენი აღმოჩნდა - 44 ნუთში მან 37 ქულა, 6 ბოხსნა, 12 შედეგიანი პასი და 4 ჩაჭრა დააგროვა. შედეგიანი გადაცემების მიხედვით, მან პირადი რეკორდი დაამყარა. ცუდი დებიუტი არც შარშანდელი სეზონის სენსაციას - ჯერემი ლინს ჰქონია 12 ქულა, 8 პასი და 4 ჩაჭრა.

რაც მთავარია, პიუსტონმა შეძლო სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება. თუმცა ძალიან გაუჭირდა ამის გაკეთება. მეხვედრე გარდაბაული უპირატესობით მიდიოდა. სანყის მეოთხედში სტუმრები ხუთი ქულით გავიდნენ წინ, მაგრამ ჩააგდეს მეორე მეოთხედში დაცვაში თამაში - მეორე 12-წუთიული დეტროიტმა 36:28 მოიგო და დიდი შესვენებისთვის 58:55 გავიდა წინ.

მასპინძლებმა უპირატესობა მესამე მეოთხედში განაგრცვეს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისისთვის კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ - 83:72. მაგრამ, ამის შემდეგ, პიუსტონელებმა სამქულიანები დაბომბეს მეტოქე. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩია თავი არგენტინელმა **ლაროს დელფინომ**, რომელმაც ექვსიდან ხუთი მორეული ტყორცნა მოათავსა კალათში.

ჰარდენი დეტროიტის მატჩში

საბოლოოდ, პიუსტონი დელფინოსა და ჰარდენის მონდომებით 17:4 გაიქცა და ამის შემდეგ, უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

■ ■ ■

დავუბრუნდეთ ჰარდენის თემას. ყოფილი ოკლაჰომელის 37 ქულა მესამე შედეგია NBA-ის ისტორიაში - ამაზე მეტი ქულა ალენ ქლუბში დებიუტისას მხოლოდ ორ კალათბურთელს აქვს მოპოვებული - **კაკი ვანდევეგეს**, რომელმაც 1984 წლის 27 ოქტომბერს, „პორტლენდში" პირველ მატჩში 47 ქულა ჩააგდო და **უილტ ჩემბერლენს**. მან 1959 წელს, „ფილადელფია უორიორის" მაისურით საღებიუტო შეხვედრაში 43 ქულა დააგროვა. ასევე ორმა კალათბურთელმა მოიპოვა 37 ქულა: **ორლანდო უულორჯმა** (1990 წელი, „დენვერი") და **ჩარლზ ბარკლიმ** (1992, „ფინიქსი"). მაგრამ პარდენი გახდა პირველი მოთამაშე NBA-ში, ვინც ამ მონაცემს ათზე მეტი შედეგიანი პასი დაურთო.

დეტროიტი–ჰიუსტონი 96:105

22:27, 36:28, 23:17, 15:33

დ: ნაოთი (15), მონროი (14+8 ბოხსნა+3 ჩაჭრა), პრინსი (12), მაქდანიელი (10+8 ბოხსნა), სანდერსონი (10).

ჰ: ჰარდენი (37+6 ბოხსნა+12 პასი+4 ჩაჭრა), დელფინო (15+7 ბოხსნა), ამპეი (12+9 ბოხსნა), ლინი (8+8 პასი+4 ჩაჭრა), პარსონსი (11+7 ბოხსნა+6 პასი), სმარტი (10+5 ბოხსნა).

ფავორიტი თუ აუტსაიდერი?

ნეშმა ტრავმა მიიღო

სეზონის სტარტზე ზედიზედ ორი მატჩი წააგო „ლეიკერსმა". კალიფორნიელებმა 116 ქულა მიიღეს იმ გუნდისგან, რომლის მომავალს ექსპერტები ჯერჯერობით ეჭვის თვალით უყურებენ. ამ გუნდის სახელოვნებაა - „პორტლენდი". სანლოო შედეგი მით უფრო გასაკვირია იმის გათვალისწინებით, რომ ფარქვეშ ბრძოლა „ლეიკერსმა" დიდი უპირატესობით - 45:30 მოიგო. კალიფორნიელებს არ ამართლებს ის ფაქტი, რომ მოხლის მრავიმის გამო, პირველი ტაიმიდან მიატოვა შეხვედრა **სტივ ნეშმა**.

მატჩის გმირი აღმოჩნდა „ბლეიზერსის" ახალბედა **დამიენ ლილარდი**, რომელიც იოლად უსწორდებოდა ჯერ ნეშს, შემდეგ კი **სტივ ბლეიკს** და საბოლოოდ, 23 ქულითა და 11 პასით დაასრულა მეტოქეები. კარგად მოქმედებდნენ მასპინძლთა სასტარტოს სხვა წევრები, რომლებმაც ჯამში 103 ქულა დააგროვეს და თამაშიდან რეალიზაციის 50 პროცენტი დაათვისებინეს. ასე რომ, შესაბამისად, პოვარდისა და ბრაინანტის 33 და 30 ქულა წყალში ჩაიყარა. ან როგორ მოიგებდა მატჩს „ლეიკერსი", რომცა ჯამში 25 შეცდომა დაეგროვა?!

გადამწყვეტი კი აღმოჩნდა მესამე მეოთხედის ბოლო ნანილი, რომელიც „პორტლენდმა" 13:0 მოიგო. ეს სპურტი **პაველოვიჩმა** და ლილარდმა მოაწყვეს. ამის შემდეგ, NBA-ის 16-გზის ჩემპიონი მეტოქეს ათ ქულამდე მხოლოდ ათგინაერო სირენამდე წუთით ადრე მოუახლოვდა.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, დამიან ლილარდის გამოსვლა ცალკე აღნიშვნის ღირსია. დებიუტანტი ისტორიაში შევიდა. აქამდე მხოლოდ ორმა კალათბურთელმა შეძლო დებიუტის აღნიშვნა მინიმუმ 20 ქულითა და 10 შედეგიანი პასით. ლილარდი შეუერთდა ისეთ ლეგენდებს, როგორებიც არიან: **ოსკარ რობერტსონი** (21 ქულა, 10 პასი - 1960 წელს, „ცინცინატი როიალსი") და **აიზია ტომასი** (31 ქულა, 11 პასი - 1981 წელს, „დეტროიტი").

პორტლენდი–ლეიკერსი 116:106

30:26, 32:31, 30:19, 24:30

პ: ბატლიი (26+6 ბოხსნა+3 ჩაჭრა), ლილარდი (23+11 პასი), მეტროუი (22+4 ჩაჭრა), ოლდრიდი (19), პიერსონი (13+10 ბოხსნა).

ლ: ჰოვარდი (33+14 ბოხსნა+5 პასი), ბრაიანტი (30+6 ბოხსნა), გასოლი (16+9 ბოხსნა), უორლდ პისი (10).

გაკვეთილი დანაკისგან

ნიუ ორლეანი–სან ანტონიო 99:99

31:28, 19:15, 21:28, 24:28

ნ-ო: დევისი (21+7 ბოხსნა), ამინუ (17+7 ბოხსნა+3 დაფარება), სმიტი (12+6 ბოხსნა), ანდერსონი (11+5 ბოხსნა), ვასკესი (8+6 ბოხსნა+13 პასი).

ს-ა: დანკანი (24+11 ბოხსნა+3 დაფარება), პარკერი (23+6 პასი), ლეონარდი (19+7 ბოხსნა+5 ჩაჭრა).

გვერდი მომზადა
გია თავალაბიშვილმა

„სან ანტონიოს" და „ნიუ ორლეანს" შორის მატჩი **ენტონი დევისსა** და **ტიმ დანკანს** შორის დუელად აღიქმებოდა. ნლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი ძალიან კარგი იყო - 21 ქულით თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი გახლდათ, თან ცხრილან ცხრა საჯარიმო ჩააგდო. მაგრამ ეს არ ყოფილა „პურჩისთვის". პრობლემა - იქვე **პარკერმა** ჩააგდო სამქულიანი და საჯარიმოდან ორჯერ ზუსტად ისროლა დანკანმა. ამასთან, პოპოვიჩის შეგირდებმა არ მისცეს სამქულიანის ჩაგდების საშუალება **ვასკესსა** და **ამინუს**.

■ ■ ■

საინტერესოა ერთი მომენტი - ამ მატჩში 2012 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ენტონი დევისმა 21 ქულა დააგროვა და კარგი დებიუტი გამოუვიდა. სტატისტიკოსებმა გაიხსენეს, რომ ზუსტად 15 წლის წინ, ასევე სადებიუტო შეხვედრაში, 1997 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ორმაგი ფიგურა მოითვალა. ეს კალათბურთელი იყო... ტიმ დანკანი, რომელმაც 1997 წლის 31 ოქტომბერს, „დენვერის" წინააღმდეგ 15 ქულა და 10 ბოხსნა მიითვალა.



ნიუ ორლეანი-სან ანტონიო

ფორმულა 1

იგივე ჭორო როსო

თანდათან იკვეთება მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლისთვის უცვლელი დარჩება „ტორო როსოს" პილოტთა წყვილი - ამ გუნდის ლირსებას დაიცავენ ფრანგი **ჟან-ერიკ ვერნი** და ავსტრალიელი **დანიელ რიკარდო**. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა იტალიური საგაზეთის ხელმძღვანელობამ.

„ორივე პილოტი კარგად უძღვება სამუშაოს. დანიელს ჩვენთან მოსვლამდე გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, რაც გუნდისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა, ჟან-ერიკი კი ადაპტირებამ მოუნა, რადგან ბმირად მისთვის უცნობ ტრასებზე გამოდიოდა.

საზაფხულო შესვენების შემდეგ, ორივე პილოტმა უფრო მეტი ქულა მოიპოვა, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში და გუნდის ყველა წევრი მობიზნესი იყო ინჟინრებთან მათი შუმაობის პროფესიონალიზმით და ტრასაზე ოსტატობით. უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ მათ 2013 წელს უფრო კონკურენტუნარიანი მოლიდი შევთავაზოთ", - ამბობს „ტორო როსოს" შეფი **ფრანც ტოსტი**.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ვერნის ანგარიშზე 12 ქულა, რიკარდოს მონაგარი კი ცხრა ქულას უდრის.

■ ■ ■

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ალენ პროსტი** უკვე რამდენიმე წელია მონაწილეობს სხვადასხვა პროექტში, რომელთა მიზანია - საფრანგეთის გრანპრის კალენდარში დაბრუნება. უახლოეს ექვიებში ლეგენდარული ფრანგი პილოტი აბუ დაბიში ჩაგა იქაურ გრანპრიზე დასასრებად და **ბერნი ეკლესტოუნს** შეხედება მომავალ წელს საფრანგეთის გრანპრის ჩატარების პერსპექტივის განსახილველად. ფრანგულმა რბოლამ უნდა შეცვალოს ნიუ ჯერსის გრანპრი, რომელიც 2014 წლისთვის გადაიტანეს.

პროსტისა და ექლსტოუნის შეხედრა შაბათს არის დაგეგმილი. ბერნიმ უკვე განაცხადა, რომ მზად არის საფრანგეთის გრანპრის ორგანიზატორებთან კონტრაქტის გაფორმებაზე, მაგრამ გასარკვევია, რომელ ტრასაზე ჩატარდება რბოლა.

■ ■ ■

უახლოეს უქმეებზე გაიმართება აბუ დაბის გრანპრი, რომელზეც „რედ ბულს შეუძლია გაინაღდოს პირველობა კონსტრუქტორთა თასზე. მაგრამ, მომავალი რბოლის მთავარი ინტრიგაა - **სებასტიან ფეტელისა** და **ფერნანდო ალონსოს** დაპირისპირება. გარკვეული დროის შემდეგ, რომელიმე მათგანი აუცილებლად გახდება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და გაუთანაბრდება ისეთ დიად პილოტებს, როგორებიც არიან - **ჯეკ ბრაბჰემი, ჯეკი სტიუარტი, ნიკი ლაუდა, ნელსონ პიკე** და **აირტონ სენა**.

რიკარდო და ვერნი

აბუ დაბის გრანპრი

ჩატარების ადგილი - აბუ-მარინა, საამოროები
წრის სიგრძე - 5 554 მ
საუკეთესო წრე - 1:40,279 (ფეტელი, 2009)

საერთო ჩათვლა

1. ფეტელი (რედ ბული) - 240
2. ალონსო (ფერარი) - 227
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 173
4. უებერი (რედ ბული) - 167
5. ჰიდენფელდი (მაკლარენი) - 165
6. ბატონი (მაკლარენი) - 141
7. როსბერგი (მერსედესი) - 93
8. გროსჟანი (ლოტუსი) - 90

განრიგი

2 ნოემბერი, 12:00 - I პრაქტიკა
2 ნოემბერი, 16:00 - II პრაქტიკა
3 ნოემბერი, 13:00 - III პრაქტიკა
3 ნოემბერი, 16:00 - კვალიფიკაცია
4 ნოემბერი, 16:00 - რბოლა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

იტალია

ჯენოა-ფიორენტინა 0:1

ესპანეთის თასი

1/16 ფინალი. I მატჩი

ეიბარი-გეტაფე	0:0
ვალენსია-ლევანტე	1:0
მელილია-ლევანტე	1:0
კორდობა-ლუსიენტესი	2:0
ჯიფუნარდინა-ხეტაფე	0:4
სევილია-ესპანიოლი	3:1
სარაგოსა-ოსასუნა	1:0
დეპორტივო-მალიორკა	1:1

პოლანდიის თასი

1/16 ფინალი

ტვენტე-დენ ბოში	1:2
ჰერენვეენი-ჰელანდია	1:0
სპეედი-ალკმაარი	1:4
ფლორდინი-ვიტესია	0:4

პორტუგალია

II ლიგა/ზონა

გელენენსეში-პენაფიელი 2:0

დანიის თასი

1/8 ფინალი

სონდერიისი-კოპენჰაგენი	0:3
ჰიკ-ჰორსენსი	0:4

შვედეთი

აბეინდალბერგი-სუნდსვალი	2:2
გაის-გეფლე	2:3
ჰიალმუნ-ელფსბაერგი	2:3
ჰაპკინი-აიკ	1:1
მალმიო-ჰრაბერი	1:1

თურქეთის თასი

ალთაი-ფენერბაჰჩე	1:0
ბალიქესირი-თურგუთლუ	2:1
დენიზლი-გოზთეპე	0:3
გზ გაზიანთეფი-დარიქა	3:3 პენ. 4:3
თავშანლი-ჯეელიე	1:0
ძასნიფაზა-ქოჯაელი	5:0
ორდუ-სანჩაქთეფე	3:0
ანტალია-ეიუპი	7:0

ბელარუსი

გომელი-დინამო (ბრ) 2:0

საბერძნეთის თასი

ფოსტინასი-ჩანია 0:0 პენ. 1:0
კავალა-პანაიონიოსი 2:0

რუმინეთის თასი

1/8 ფინალი

ოცელულეი-გრაფილა	3:0
პანდური-დინამო	1:2

ბულგარეთის თასი

1/16 ფინალი

ლოკომოტივი (პლ)-ლოკომოტივი (სფ)	0:4

კალათბურთი

ესპანეთის თასი

ჭაღარი-ბილბაო	92:87
ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსი	73:64
მაკაბი-პრომეთეი	93:62
ბარსელონა-პარტიზანი	85:82
კახა ლაბორალი-ეფესი	64:76
რეალი-ასანტ	80:66
უნიკახა-ალბა	69:62

პოლი

კალ

ლევ პოპრადი-სიბირი 3:5

წერაქვები

ფრისკ ასკერი-სპარტა	4:5 (ო)
სტავანგერი-ტრონჰეიმი	10:2
ვოლერინგა-რუსენბორგი	2:5
სტორიერნინ-ლორენსკოგი	1:8
სტრომსმარი-ლილეჰამერი	2:6

ფინეთი

გლუზი-ჯიფპ	1:2
სიპა-ილვესი	7:2
ტაპარა-კალპა	5:1
ტპს-კერპეტი	1:0 (ო)
ჯპკ-იოკერიტი	3:2 (ბ)

ჩეხეთი

კარლოვი ვარი-სლავია 2:3

შვეიცარია

ლანგნაუ-ციურიხი 3:5

შვედეთი

აიკ-შელეფტეო	0:5
ვოდი-ლინკოპინგი	0:3
ტიბრა-პრიუნსი	2:4
ფალუნს-ტალ-რუმელე	4:0
ფრილუნდა-ლულეო	1:2 (ბ)
ჯვრ1-ვიძსიო	3:4 (ბ)

ჩოგბურთი

ATP. პარიზი

ბერდიხი-ანდერსონი	1:6, 6:3, 6:4
სიმონი-ნიშიკორი	უარი
მიური-იანოვიჩი	7:5, 6:7, 2:6
დელ პოტრო-ლოდრა	4:6, 3:6
ტიპსარევიჩი-მონაკო	6:3, 3:6, 6:3
რაონიჩი-კუერი	3:6, 6:7
ცონგა-ალმაგრო	7:6, 7:6

WTA. ლიდსი

პეტროვა-კირილენკო	3:6, 7:6, 6:3
ვოზნიაცკი-პანატუხოვა	3:6, 7:6, 6:4
ვინჩი-შიე	6:1, 6:2

ვიზიტები

შუმის ცათამბჯენები

მიხაელ შუმახერი

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ „მერსედეს-რეინინგი" ლეგენდარულ **მიხაელ შუმახერს** გამოსათხოვარ საჩუქარს უმზადებს. კერძოდ, გერმანელი ავტოკონცერნი მსოფლიოს შეიდგზის ჩემპიონს იმ ბოლიდს გაუკეთებს, რომლითაც შუმიმ მონაკოს გრანპრიზე პოლი მოიპოვა. ამ მანქანის ფასი დაახლოებით მილიონი ევროა.

ახლა კი ცნობილი ხდება, რომ მიხაელ შუმახერი სერიოზულ საკომისიოებს მიიღებს მისი სახელის სარეკლამო-მარკეტინგული მიზნებით გამოყენების საწინააღმდეგოდ. ასე მაგალითად, გერმანული დეველოპერი ACI real estate მთელ მსოფლიოში ინყებს ცათამბჯენების აშენებას, რომელთა სახელწოდება იქნება - Michael Schumacher World Tower.

ერთ-ერთი ასეთი შენობის მშენებლობა უკვე დაინყო ინდოეთის დედაქალაქ დელიში. შენობის სიმაღლე დაახლოებით 99 მეტრი იქნება და მის შიგნით განთავსდება ლუქსის კლასის უზარმაზარი ბინები. ცათამბჯენის სახურავზე გამოისახება გერმანელი პილოტის გვარის პირველი ასო. აღსინიშნავთ, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება მალე დაინყება აბუ დაბისა და დუბაიში.

TV პროგრამა

2 რუბრიკაში. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBRAZIL.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ასტონ ვილა-ნორვიჩი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. რიფერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ინტერნასიონალი-პალმეირასი.
18:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. წელსი-მანჩესტერ ოუნ.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. აინტრახტი-ფრუნტური (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. აიაქსი-მანჩესტერ სიტი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ნიუ იორკი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო-აკადემიკა.
17:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსეორლდსპორტი.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჩემპიონთა ტურნირი. სოფია. ბულგარეთი (LIVE).
22:00 NBA Action.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ნიუ იორკი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსეორლდსპორტი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	13 21	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	13 25	(მზე)
ბათუმი	13 23	(მზე)
ფოთი	14 24	(მზე)
ზუგდიდი	14 25	(მზე)
გორი	10 22	(მზე)
თელავი	12 20	(მცირე წვიმა)
სენაკი	10 19	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	4 16	(მზე)
ბორჯომი	4 20	(მზე)
მესხეთი	3 18	(მზე)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1598
1 ამერიკული დოლარი	1.6602
1 ბრიტანული ფუნტი	2.6764
100 რუსული რუბლი	5.2916

კრიტი

2013-ში ან არასდროს

ამერიკელ მწერლებ **ფრედი როუზს** მიაჩნია, რომ თანამედროვეობის ორ საუკეთესო მოკრივეს - 33 წლის ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და 35 წლის ამერიკელ **ფლოიდ მეიველზრს** შორის ბრძოლა 2013 წელს თუ არ გაიმართება, მაშინ ისინი აღარასოდეს გავლენ რინგზე. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრის ჩატარების პირველი მცდელობა 2009 წლის დეკემბერში იყო.

ამასწინათ პაკიაომ კიდევ ერთხელ გამოაცხადა, რომ თანხმობას მეიველზერის მოთხოვნებს ოლიმპიური სისტემით დოპინგ-ტესტის გავლაზე, აგრეთვე მზად არის, ბრძოლისგან მილებული მოგების 55 პროცენტი დათუთმოს მონინააღმდეგეს.

მეიველზერმა ამაზე უარი განაცხადა. ამერიკელი აღიარებს, რომ ივნისში, **ტიმოთი ბრედლის** არასამართლიანად მიანიჭეს გამარჯვება მენი პაკიაოსთან შეხვედრაში. მიუხედავად ამისა, ეს მარცხი შეუანელია მენის სტატისტიკაში და შესაბამისად, ფილიპინელის ფასიმ დაიკლო.

„თქვენ ეს უნდა გესმოდეთ, - ამბობს მეიველზერი. - მენი აზრით, ახლა მენი პაკიაოს სასარგებლოა. როგორც კი ბრძოლას ნაადებ, მაშინვე დაკლს მიექანება. იმისდა მიუხედავად, რამდენად სამართლიანი იყო მსაჯების გადაწყვეტილება, ბისი ტქვიები დაეცვა".

სწორედ ამის გამო, მეიველზერი ითხოვს საერთო ჰონორარის 60 პროცენტს, მაგრამ პაკიაოც არ აპირებს თავისი წილის 45 პროცენტზე უარის თქმას.

■ ■ ■

ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა **ოსკარ დე ლა ჰოიამ** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორები, თითქოს ის დიდ სპორტში ბრუნდება დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ „ოქრო ბიჭმა" თავისი ბოლო ბრძოლა 2008 წელს გამართა და დასარულა მდიდარი საკარიერო კარიერა.

„ვფიქრობ, შევძლებდი დიდ კრიეში დაბრუნებას, - ამბობს დე ლა ჰოია. - ამას სერიოზულად ვამბობ. მიყვარს ვარჯიში, კრივი... გუღის სილრმეში სინანულს ვგრძნობ, რომ არ შემიძლია გამოსვლა. ყოველ დილით ვიღვიძებ და ვფიქრობ, რომ შეიძლება დროის შემობრუნება და რინგზე დაბრუნება, მაგრამ არ შემიძლია და ეს ყველაფერი ტკივილს მანიჭებს".

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

მენი პაკიაო

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

ვარსკვლავები აფერისტობენ?

პარიზის მასტერსს ორი დღის განმავლობაში ჯოკოვიჩი და მიურეი გამოაკლდნენ

ხმაურიანი სენსაციებით მიმდინარეობს წლის ბოლო მასტერსი პარიზში. **რაფაელ ნადალისა** და **როჯერ ფედერერის** უარით ისედაც შესუსტებული შემადგენლობა **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი მიურეის** გარეშე დარჩა. მსოფლიოს მეორე და მეოთხე ჩოგნები ერთმანეთის მიყოლებით გამოეთიშნენ ტურნირს - ჯოკომ მეორე წრეში წააგო, ენდიმ კი გუშინ დათმო მერეფდფინალი.

პარიზის მასტერსი ძალიან ცუდ დროს არის განთავსებული ATP-ის კალენდარში - მას მოსდევს წლის შემაჯამებელი ტურნირი და ბუნებრივია, ნამცვანი ჩოგბურთელები ერიდებიან გადალილასა და არასასურველ ტრავმებს. ამიტომაც, სერბისა და ბრიტანელის მოულოდნელ ნაგებებს ამ ეტაპზე ახსნა შეიძლება მოეძებნოს, მათ რეალურ მზადყოფნას კი მომავალ კვირას, ლონდონში შევამოწმებთ.

იეჟი იანოვიჩი

ჩვენს ვარაუდს ამყარებს ერთი მარტივი სტატისტიკური მონაცემი - ATP-ის დღევანდელი ტოპ-ოთხეულიდან ეს ტურნირი მხოლოდ ორს აქვს მოგებული, თანაც თითოჯერ.

მეორე წრეს ჯოკოვიჩი კარგ ხასიათზე შეხვედა. ჰელეოვნისთან დაკავშირებით ის მოედანზე „ვარსკვლავური ომების" გმირის **დარტ ვეიდერის** ნიღბით გამოჩნდა. მართლაც, სერბი ამ დროს ბაზელის ტურნირზე თამაშობდა და მაშინ „ჯოკერის" ნიღაბი გაიკეთა.

ნოვაკის ნაადრევად გამოვარდნას არაფერი მოასწავებდა. პირველ პარტიაში მსოფლიოს მეორე ზოგანმა არც ერთი გეიმი არ მისცა **სემ კუერის** და 20 წუთში ჩაეტია. განსაკუთრებით კარგად ნოვაკმა მილებაზე თამაშა და უკანა ხაზზე დომინირებდა. ის არც 6:0-ის შემდეგ მოლუნდა და მეორე პარტიაში 2:0 ნაიყვანა ანგარიში. თითქოს, სერბს გამარკვევება გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ამერიკელმა მონოდება დაალაგა, შემდეგ კი ხარისხიანად შეტევა დაიწყო. კუერის ბადეც ეხმარებოდა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულაც აიღო. სემმა არა მხოლოდ თანაბარ თამაშში ნარმართა მეორე სეტი, არამედ ბევრ კომპონენტში სჯობდა ჯოკოვიჩს, მაგალითად, 22 „ვინერსი" ჰქონდა, ნოვაკს მხოლოდ ათი. ჯოკოვიჩმა 5:6-დან და 0:30-დან გადაარჩინა სეტი, მაგრამ თანაბარი ტაი-ბრეიკი კუერის დარჩა.

მატჩის ხასიათი არც მესამე სეტში შეცვლილა. კუერი შესანიშნავად აწვდიდა და საერთო ჯამში, უგეშდა მეტოქეს. ნოვაკი კი მისთვის არადამახასიათებლად ბევრს ცდებოდა. საბოლოო შედეგი ასეთია - 6:0, 6:7(5), 4:6. მატჩბოლზე პარიზული პუბლიკა სერბ ზოგბურთელს უსტვენდა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ ნოვაკი ბოლომდე არ იბარჯებოდა. რა თქმა უნდა, სერბს არ შეეძლო არ ეფიქრა იმაზე, რომ რამდენიმე დღეში წლის შემაჯამებელი ტურნირი იწყებოდა და ზედმეტი ენერგიის დახარჯვა არ სურდა. ნოვაკი ბევრი არ ულაპარაკია: „სერბმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ის შესანიშნავად აწვდიდა".

სერბმა 2010 წლის მარტის შემდეგ პირველად წააგო მასტერსზე საწყისი შეხვედრა.

■ ■ ■

გუშინ, მერვედფინალური ეტაპის მატჩები გაიმართა და კიდევ ორი სენსაცია მოხდა. **ენდი მიურეი** 21 წლის პოლონელ **იეჟი იანოვიჩს** ხვდებოდა. წლის დასაწყისში ამ ზოგბურთელს არავინ იცნობდა - ის „ფიუჩერსის" ტურნირებში იღებდა მონაწილეობას და სპონსორის ძიებაში იყო პროფესიულ ტურნირზე გამოსასვლელად. ახლა კი იანოვიჩი მსოფლიოს 69-ე ზოგანია და გუშინ, კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

ჯოკოვიჩის მსგავსად, ბრიტანელმა მოიგო პირველი სეტი 7:5 და უფრო მორსაც წავიდა - მეორე სეტში, 5:4-ზე საკუთარ გეიმში მაგჩჩბოლი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ეს სეტი ენდიმ ტაი-ბრეიკზე ნააგო, მესამეში კი პოლონელი უკვე დიდ უპირატესობას ფლობდა.

ორი საათისა და 25 წუთის განმავლობაში, მიურეიმ ორი ბრეიკი გააკეთა და სამჯერ დათმო საკუთარი მონოდება. აქამდე ეს ზოგბურთელები 2009 წელს, დევისის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს და ბრიტანელმა სამ სეტში მოიგო - 6:3, 6:4, 6:3.

სხვათა შორის, ენდის ბოლო დროს ცუდი თვისება დასჩენდა - მან ზედიზედ მესამედ ვერ გამოიყენა მატჩბოლი: ორი ასეთი შანსი გაუშვა იაპონის ლია პირველობის ნახევარფინალში **მილოშ რაონიჩთან** და ხუთი - შანხაის მასტერსის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩთან.

რაც შეეხება გუშინდელ მეორე სენსაციას, არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** უპასხოდ ნააგო ფრანც **მიკაელ ლოდრასთან** - 4:6, 3:6. თამაში საათი და 9 წუთი გაგრძელდა და ლოდრამ თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა, არგენტინელმა კი ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ მოიპოვა.

● ველოსპორტი

დასანვავი პრმსტრონგი

ინგლისის ქალაქ ედენბრიჯის მცხოვრებლები 5 ნოემბერს, „გაი ფოქსის ღამის" ტრადიციული აღნიშვნის დროს დანვავენ სახელგანთქმული ველომრბოლის **ლენს არმსტრონგის** ფიგურას, რომელმაც დოპინგსკანდალის გამო ტურ დე ფრანსის შვიდი ტრტული დაკარგა.

ლენსის ცხრამეტრიან ფიგურას ხელში უჭირავს დაფა წარწერით - „ვეღდი ველოსიპედს. მე ის აღარ მჭირდება". დავამატებთ, რომ დანვის რიტუალი ამ ზეიმის აუცილებელი ატრიბუტია - ის უკვეშირდება 1605 წლის 5 ნოემბერს, მეფე **იაკობ I**-ის სიმკვდილის წარმატებულ მცდელობას. ამასთან, ყველაზე ხშირად სწორედ **გაი ფოქსის** ფიგურას წვავენ, რომელსაც უნდა განეხორციელებინა მაშინ შეთქმულთა გეგმები. თუმცა ედენბრიჯში ბოლო დროს ისტორიული გმირის ნაცვლად თანამედროვეობის საეჭვო მოღვაწეებს ეწირნან. ასე მაგალითად, ამ ქალაქში ცეცხლს მისცეს კომიკოს **რასელ ბრენდისა** და ფეხბურთელ **უეინ რუნის** ფიგურები.

გვერდი მოამზადა
გია თავალაგეიშვილმა

სამხედრო ჟურნალი
„არსენალი"!

გამოწერის თვეში ორჯერ!
ჩაიხედეთ კიოსკის გაყვარცლებლებთან!

კაროს მამა დაუბრუნდა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** მენეჯერად თანამშრომლობა ნარსულში ცნობილ შვედ ჩოგბურთელთან **ტომას იოჰანსონთან**. დანიური პრესის ინფორმაციით, კაროლინი ისევ საკუთარი მამის - **პეტერ ვოზნიაცკის** ხელმძღვანელობით ივარჯიშებს.

„რაღაც პერიოდი საქმეებს ჩამოვშორდი და ყველაფერი ძალიან ცუდად განვითარდა. ახლა ისევ კაროლინის მწვრთნელი ვარ. ჩვენ დავუბრუნდებით ძველ სქემას, რომლის წყალობითაც ის მსოფლიოს პირველი როკანი გახდა. ვითამაშებთ ისე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით, თან სხვადასხვა სათამაშო კომპონენტში მოვუმატებთ ვარჯიშს.

ეს კაროლინის გადაწყვეტილებაა. მან თავად გადაწყვიტა ძველ სქემაზე დაბრუნება, როცა მე მისი მუდმივი მთავარი მწვრთნელი ვიყავი და ტრიიდულად მიემართავდით „ადიდასის" გუნდიდან სპეციალისტთა დახმარებას. ორივემ ვიცით, რა გვჭირდება", - განაცხადა უფროსმა ვოზნიაცკიმ.

კაროლინ ვოზნიაცკი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაგეიშვილი, ნიკოლოზ ნებგარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოკორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდნენ სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelotd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: ოსიაშვილის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციისთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გვეგმიით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ანგ GE19CR0120007000043608

დაბეჭდილია და გამოცემულია შპს „გამომცემლობა ლელო"

ISSN 2233-3827

გამოიცემა კვირაობით, პარასკევობით

9 772233 382000